გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 99
(11 351)

21 – 23 დეკემბერი, 1999 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



# რატომ შეგვაშფოთა ნაკრებში ორი მწვრთნელის დანიშვნამ?



***პრესკონფერენციას, რომელიც ამ დღეებში გამართეს ფეხბურთში ჩვენი ეროვნული ნაკრების ახლად დანიშნულმა მწვრთნელებმა, ყველა მოუთმენლად მოელოდა თუნდაც იმიტომ, რომ უამრავი კითხვა დაბადა ნაკრებში სფფ-ს გადაწყვეტილებით ორი მწვრთნელის – დავით ყიფიანისა და რეზო ძოძუაშვილის დანიშვნამ.***

ამ შეხვედრაზე, რომელმაც თითქმის სამ საათს გასტანა, მართლაც ბევრი რამ ითქვა და პასუხგაუცემი სერიოზული თუ იუმორნარევი ფორმით, არც ერთი კითხვა არ დარჩენილა. მაშ, ასე ორი მწვრთნელი და უამრავი მითქმა-მოთქმა. ორი მწვრთნელის, კერძოდ, რეზო ძოძუაშვილისა და დავით ყიფიანის ხელმძღვანელობით ჩვენი ეროვნული ნაკრების გაძღოლის მაგალითი ერთხელ უკვე გავიარეთ. თუმცა, ბოლომდე არა, რატომღაც „ზარი გაცილებით ადრე დაირეკა“ და მწვრთნელების შესაძლებლობები ბოლომდე ამოუხსნელი დარჩა.

ძოძუაშვილი აცხადებს, რომ მწვრთნელებმა, სფფ-მ და თვით ფეხბურთელებმა ბოლომდე უნდა გაინაწილონ პასუხისმგებლობა. იქვე დასძენს, რომ საჭიროა ფეხბურთელებმა „ისწავლონ პროფესიონალიზმი“, პროფესიონალიზმი ყველაფერში – მინდორზეც და მის მიღმაც. საერთო პასუხისმგებლობა ვახსენეთ, თუ იგი უნაყოფო მოწოდებად დარჩება სხვებისთვის და ამ ტვირთს ეს ორი მწვრთნელი შეეჭიდება, ვფიქრობთ, მართლაც არაფერი გამოვა, საქმე წინ ვერ წაიწევს. მაინც რას ვხედავთ საგანგაშოს ორ მწვრთნელში? თუკი ერთი მათგანი, კერძოდ, ძოძუაშვილი აცხადებს, რომ „ამაღლებულად და ბედნიერად გრძნობს თავს, რომ დავით ყიფიანთან ერთად მოუწევს მუშაობა“, ჩვენ რა უფლება გვაქვს ეჭვი შევი-

*იხ. მე-3 გვ.*

## კიდევ ერთი ღირსსახსოვარი მოვლენა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ მოძრაობაში!

### საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის 1999 წლის 20 დეკემბრის სხდომის დადგენილება

#### ვეტერან ოლიმპიელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

**სეოკ-ის აღმასკომი ადგენს:**

1. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი გულისტკივილითა და შეშფოთებით აღნიშნავს, რომ სოციალურად დაუცველ ვეტერანებს შორის ბევრია ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის პირველობების ჩემპიონები და პრიზიორები, გამოჩენილი მწვრთნელები, სპორტის მუშაკები, რომელთაგან ბევრს, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე (ფიზიკური დატვირთვები, ფსიქოლოგიური და ემოციური სტრესები, რიგი სხვა ფაქტორები), ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში შეერყათ ჯანმრთელობა.

2. ქვეყნისა და ხალხის წინაშე ქართველ სპორტსმენთა მრავალი თაობის ღვაწლისა და დამსახურების, სპორტის, როგორც საქმიანობის სფეროს განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, სეოკ-მა წესდებით მინიჭებული საკანონმდებლო უფლების გამოყენებით და მრავალ ქვეყანაში არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით საქართველოს პარლამენტის წინაშე დააყენოს საკითხი ზემოაღნიშნული კატეგორიის ვეტერანებისათვის სოციალური დაცვის სპეციალური წესის შემოღების აუცილებლობის შესახებ.

3. აღნიშნული საკითხის სახელმწიფოებრივ დონეზე გადაწყვეტამდე მიზანშეწონილად ჩაითვალოს არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან 2000 წლის პირველი იანვრიდან დაენიშნოთ ოლიმპიური პენსია ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებსა და პრიზიორებს: მამაკაცებს 65 წლის, ქალებს — 55 წლის ასაკის შესრულების შემდეგ.

4. ოლიმპიურ მოძრაობაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ოლიმპიური პენსია დაენიშნოს ზამთრის ოლიმპიური თამაშების ოთხგზის მონაწილეს კობა წაქაძეს.

5. ოლიმპიურ სტიპენდიანტთა პერსონალური შემადგენლობა და სტიპენდიის ოდენობა განისაზღვროს სეოკ-ის პრეზიდენტის განკარგულებით.

***P.S.*** *„ლელო“ დაინტერესდა რამდენიმე დეტალით და გაირკვა, რომ პენსიების ოდენობა, სავარაუდოდ, შესაბამისად (ჩემპიონი, მეორე და მესამე პრიზიორი) იქნება — 120, 100 და 80 ლარი. ამჟერად ასეთი 6 ოლიმპიური ჩემპიონი და 5 პრიზიორია.*

## ... და აბდღვრიალდება სტადიონი ქუთაისში

240 ათასი აშშ დოლარის ღირებულების განათების მოწყობილობის შეძენა უკვე რეალობად აქციეს.

**უეფას** შენიშვნებზე, როცა საქმე სტადიონის კეთილმოწყობას ეხება, ჩვენი ცხოვრების რთულ პირობებში უსიტყვოდ თავის დაქნევა და თანხმობის მიცემა ადვილია, შესრულებაა ძნელი. ქუთაისელებმა კი თავი არ შეირცხვინეს და სულ მალე დაიწყება მონტაჟი და ქალაქის გ. კილაძის სახელობის ცენტრალურ სტადიონს სამი რეჟიმის განათება ექნება – სავარჯიშო, ეროვნული, ჩემპიონატისთვის, და საერთაშორისო მატჩების შესატყვისი.

### თავისუფალი ჭიდაობა. საერთაშორისო ტურნირი

## მონაწილე — 7, მედალი — 7!

ასეთი რამ იშვიათად ხდება. ჩვენმა ჭაბუკებმა კი იშვიათობა კანონზომიერებად აქციეს და მოსკოვის ოლქის ქალაქ ძერჟინსკიდან, სადაც თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა (1984-85 წ.წ.) საერთაშორისო ტურნირიდან ყველა სპორტსმენი შინ მედლით დაბრუნდა, აქედან — ხუთი უმაღლესი სინჯისაა, ორი — ვერცხლისა. 16 ქვეყნის 250 მონაწილეთა შორის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ მალხაზ ქურასპედიანი (53 კგ, თბილისი, ორს, მწვრთნელი თ. ბედიანაშვილი), დიმიტრი გელაშვილი (59 კგ, თბილისი, მწვრთნელი შ. კოტორაშვილი), ალექსანდრე პატარქალიშვილი (თბილისი, „შევარდენი“, სპორტის სამმართველოს სპორტსკოლა, მწვრთნელი ბ. პაპაშვილი), მამუკა ბურდული (73 კგ, სპ. სამმართველოს სპორტსკოლა, მწვრთნელი შ. კოტორაშვილი), მალხაზ მირზიკაშვილი (76 კგ, ყვარელი, მწვრთნელი ბილანიშვილი). აღსანიშნავია, რომ 53 კგ-ში ფინალი ქართული თანაგუნელებისა იყო — მეორე ადგილზე გავიდა მამუკა არევაძე. მეორე ვერცხლის მედალი წილად ხვდა შოთა სპანდერაშვილს (მძიმე წონა, თბილისი, „შევარდენი“, მწვრთნელი ნიკო როსტომაშვილი).

## მე-13 ბრძოლაც მოიგო...



*გიორგი კანდელაკი*

რიგით მე-13 სარეიტინგო ბრძოლა გამართა პირველმა ქართველმა პროფესიონალმა მოკრივემ გიორგი კანდელაკმა. მისი მეტოქე ამჯერად იყო ინგლისელი მაკ კოფორტი, რომელსაც 14-დან 12 ბრძოლა ჰქონდა მოგებული. გიორგისთან შეხვედრაში იგი ზედმეტად ფრთხილობდა, რადგან ვიდეოფირზე ენახა კანდელაკის წინა ბრძოლები და მეტწილად თავს იცავდა. მწვრთნელისა და მენეჯერის დაჟინებული თხოვნით გიორგიმ ეს ორთაჭიდილი 8 რაუნდამდე „გაწელა“. ადრე, შეხვედრათა უმეტესობას ჩვენი მოკრივე „ვადამდე“ იგებდა ხოლმე და ახლა დადგა დრო ძალა რამდენიმე რაუნდში გაენაწილებინა. ამოცანას გიორგიმ თავი ბრწყინვალედ გაართვა და მეტოქეს 157:36 სძლია.

## ხუთშაბათს, 14 საათზე

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საბჭოს სხდომა, როგორც ადრე გამოცხადდა, გაიმართება ხუთშაბათს, 23 დეკემბერს. სხდომა დაიწყება 14 საათზე. ძირითადად განიხილავენ სპორტის რამდენიმე სახეობაში წლის შედეგებს, ქართველ მოჭადრაკე ქალთა განცხადებას და მომავალი წლის სამუშაო გეგმას.

## და ისევ საქმე...

### *სპორტულმა ჟურნალისტებმა საანგარიშო განვლილი პერიოდი შეაჯამეს და ახალი ამოცანები დაისახეს*

*ბოლო ათწლეულში, ვერც ერთი შემოქმედებითი ორგანიზაცია ვერ დაიჩემებს, რომ უკეთესი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, ვიდრე ეს შეძლო საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ. ისეთი ყოფა დაგვიდგა, უმოქმედობა შეიძლება ათასი მიზეზით გაამართლო, ეროვნული საქმის კეთება კი უკეთესი დროისთვის გადადო. ჩვენმა სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ კი ის გააკეთა და იმ დროს გააკეთა, როცა ეს აუცილებელი იყო და დახანება არ ეგებოდა. ორ უმთავრესს გამოვყოფთ, პირველი ესაა – ნოდარ გუგუშვილის „ოლიმპიური ენციკლოპედიის“ გამოცემა და მეორე – XX საუკუნის რჩეულ სპორტსმენთა და სპორტის მოღვაწეთა გამოვლენის რეფერენდუმის ჩატარება.. ზღვა სამუშაო მოიცვა და უდიდესი ენერგია წაიღო ორივე საქმის წარმატებით გასრულებამ. თამამად შეიძლება ითქვას, ორივე ისტორიულ მოვლენად დარჩება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.*

*სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, მხოლოდ ეს იქნებოდა საკმარისი, რომ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია წელგამართული წამდგარიყო თავის საანგარიშგებო კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა. ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა დაწვრილებით მიმოიხილა საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა და, რაც მთავარია, შეკრებილთ აუწყა, რომ ასოციაცია იწყებს აქტიურ მუშაობას ქართული სპორტული ენციკლოპედიის სრულტომეულის გასასრულებლად და ქართული სპორტის ისტორიის მოცულობითი დოკუმენტური ფილმის შესაქმნელად.*

*კონფერენციამ ასოციაციის პრეზიდენტად კვლავ აირჩია ელგუჯა ბერიშვილი, პოსტები შეინარჩუნეს ვიცე-პრეზიდენტებმაც – თამარ ბალავაძემ და ზურაბ ფოცხვერიამ, გენერალურ მდივნად მერაბ რატიშვილია არჩეული.*



*რივალდო*



*ბექჰემი*



*შევჩენკო (თეთრ მაისურში)*

# რივალდო, ბექჰემი, შევჩენკო

ბრაზილიის ეროვნული გუნდისა და „ბარსელონას“ ფლეიმეიკერი რივალდო „ფრანს ფუტბოლის“ პრიზს, ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი „ოქროს ბურთის“ ყველაზე რეალური კანდიდატია. მანამდე კი საერთაშორისო საფეხბურთო ჟურნალ „World Soccer“-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, ის მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. მას ხმების 42,27 % ერგო, მეორე ადგილზე (26,55 %) გავიდა დევიდ ბექჰემი („მანჩესტერ იუნაიტედი“), მესამეზე (9,02 %) – ანდრეი შევჩენკო („მილანი“).

„World Soccer“ ასეთ გამოკითხვას 1982 წლიდან ატარებს, რივალდო კი მესამე ბრაზილიელია ზიკოს (1983) და რონალდოს (1996, 1997) შემდეგ, ვინც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოიხვეჭა.

# ჩვენს მოფარიკავეებს სიდნეიში გამგზავრების შანსი გაუჩნდათ

ამ დღეებში შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში გაიმართა ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, რომელმაც დაადასტურა, რომ სიდნეიში გაისად ფარიკაობის თითოეულ ოლიმპიურ სახეობაში 40-40-მა მუშკეტერმა უნდა მიიღოს ოლიმპიადის ლიცენზია. 24-24 ოლიმპიელი უკვე ცნობილია, გაუცემელი დარჩა მხოლოდ 16 საგზური. მაისამდე, სხვადასხვა კატეგორიის შეჯიბრებებში დაგროვილი ქულების შეჯამებით გამოვლინდება კიდევ რვა ოლიმპიელი. დარჩენილი 8 ადგილი მაისში დაგეგმილ ასპარეზობებში განაწილდება კონტინენტების შეჯიბრებებზე, საიდანაც 2 ევროპისთვისაა ლიმიტირებული. ევროპელთათვის (ვისაც საგზური არ მოუპოვებია) სალიცენზიო ასპარეზობა მთლიანი პროგრამით იგეგმებოდა ბრატისლავაში, მაგრამ სომხეთმაც გამოთქვა მასპინძლობის სურვილი, რასაც ბევრმა, მათ შორის საქართველოს წარმომადგენელმაც დაუჭირა მხარი კონგრესზე და ერევანი დაშნაში მოასპარეზე ქალებს და ვაჟებს უმასპინძლებს.

— ერევანში ამ შეჯიბრების ჩატარება ჩვენთვის ფინანსურადაც ხელსაყრელია, გამგზავრება კითხვის ნიშნის ქვეშ აღარ დადგება და ჩნდება სიდნეის საგზურის მოპოვების შანსი — თქვა ჩვენი ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მორის სახვაძემ, რომელიც ზემოხსენებული კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა.

კონგრესმა გამოავლინა აგრეთვე 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი — ესაა საფრანგეთის ქალაქი ნიმი, რომელსაც კონკურენციას უწევდა ქ. ლისაბონი და იტალიის ბარი. ხმები ასე განაწილდა: ნიმი — 32, ლისაბონი — 22, ბარი — 6.

კონგრესმა დაადგინა 2000 წლის იუნიორთა და კადეტთა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ადგილი — ქ. საუტბენტი (აშშ). დამტკიცდა აგრეთვე ამ ჩემპიონატის მთავარ მსაჯთა კოლეგიის ოთხეული, რომლის ერთ-ერთი წევრი იქნება მორის სახვაძე.

# SOS

# მძლეოსნებს ვანო ზოდელავას და ჯანო ბაგრატიონის იმედი აქვთ...

საქართველოში მძლეოსნობის შემდგომი განვითარება და სპორტის ამ სახეობის მსოფლიო სპორტულ სამყაროში ჩვენი ინტეგრაციის სრულყოფა, სერიოზული საფრთხის წინაშე დადგა, ქვეყანას, რომელსაც ოლიმპიური თამაშების ოქროს 4, ვერცხლის 3 და ბრინჯაოს 4 მედალი აქვს მძლეოსნობაში მოპოვებული, ხოლო საუკუნის საუკეთესო სპორტსმენად ასევე მძლეოსანი, ლეგენდარული ვიქტორ სანეევი აღიარეს, ხელოვნურად ესპობა მომავალ თაობათა დაოსტატებისა და თბილისში მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით სპორტული ასპარეზობების ჩატარების შესაძლებლობა.

თუ რაზეა ლაპარაკი, შეიტყობთ ამონაწერით წერილიდან, რომელიც ქ. თბილისის მერს ვანო ზოდელავას და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, პარლამენტარ ჯანო ბაგრატიონს გაუგზავნა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა თამაზ მდინარაძემ.

„გთხოვთ გაითვალისწინოთ ოლიმპიური ჩემპიონების, პრიზიორების, მძლეოსნობის სპეციალისტებისა და სპორტის მოყვარულთა თხოვნა და დაავალოთ შესაბამის სამსახურებს, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან და თბილისის სპორტის სამმართველოსთან ერთად, შეისწავლონ და შეაჩერონ ეროვნული სტადიონის სათადარიგო მოედანზე ხელოვნური საფარის დაგება, რაც იწვევს ამ არენიდან მძლეოსნობის საბოლოო განდევნას. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის – IAAF-ის წესდების მოთხოვნათა შესაბამისად კი, ხელოვნური საფარის პირობებში, ეროვნული სტადიონი საერთაშორისო მნიშვნელობის შეჯიბრებების ჩასატარებლად უვარგისი გახდება.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა თანმიმდევრულად ერთიანდება ევროპისა და მსოფლიოს საერთაშორისო ორგანიზაციებში, რაც თავისთავად გულისხმობს მსოფლიო სპორტულ ოჯახში ინტეგრირებას და, აქედან გამომდინარე, მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობასაც, არ დაუშვებთ, რომ IAAF-ის წევრ 210 ქვეყანას შორის ერთადერთი საქართველო აღმოჩნდეს, რომელსაც აღარანაირ ანგარიშს არ გაუწევენ მძლეოსნობის არენის არარსებობის გამო“.

რედაქცია იმედოვნებს, გონივრული კომპრომისის ძიება არ დაყოვნდება.

**ფარიკაობა** თბილისის ღია პირველობა

## სკოლას აფხაზეთის ნაკრებიც მიემატა



ორი კვირაც კი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც თბილისის ფარიკაობის ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის ეს დარბაზი ნორჩმა მუშკეტერებმა აახმაინეს. და აი, ფარიკაობის მოყვარულთათვის ასე კარგად ცნობილმა სპორტდარბაზმა კვლავ მიიზიდა ახალგაზრდა სპორტსმენები. გაიმართა თბილისის ღია პირველობა ფარიკაობაში 1985-1987 და 1988-1990 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. მონაწილეობდა სამი გუნდი — თბილისის „მართვე“, „შევარდენი“ და აფხაზეთიდან ლტოლვილთა ნაკრები, სულ 100-ზე მეტი მოფარიკავე.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა თბილისის ნაკრები. ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ნორჩ მოფარიკავეებზე აფხაზეთიდან. ისინი მთელი გუნდით ჩაირიცხნენ ზემოხსენებულ სპორტულ სკოლაში. მათთან კვლავ იმუშავებენ ფარიკაობის ცნობილი სპეციალისტი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი როზა ჭოლოგუა და თამაზ კაკულია. შეჯიბრების ორგანიზატორები მასპინძელთა გარდა, იყო თბილისის მერიის განათლების სამმართველოს ფიზკულტურულ-სპორტული გაერთიანება (დირექტორი ვაჟა ჰკუასელი).

**ქვარცხლბეკი:**

***რაპირა. (ვაჟები) 1988-1989 წ.წ:*** 1. ლაშა ფირცხალაიშვილი — 147-ე სკოლა, 2. ზვიად ფერაძე (130-ე სკ.), 3. მიხეილ კაჭკაჭური (178-ე სკ.)

***1985-1987 წ.წ.:*** 1. ბექა ბექაური — იტალიური კოლეჯი, 2. შალვა მათიაშვილი, 3. გიორგი გოგოლიძე (ორივე — 178 სკ.)

***რაპირა. (გოგონები) 1988-89 წ.წ:*** 1. სოფიო ისაშვილი (130-ე), 2. ნინო ხარებავა, 3. სოფიო ბერულავა (ორივე — 147-ე სკ.).

***1985-1987 წ.წ.:*** 1. ლელა ძნელაძე (126-ე სკ.), 2. ელეონორა ვეკუა — იტალიური კოლეჯი, 3. ანა ძნელაძე (126-ე სკ.).

***ხმალი. 1988-1989 წ.წ.:*** 1. კახა მაღრაძე (165-ე სკ.), 2. ზურიკო ბალსოლიანი (101-ე სკ.), 3. გიორგი ასათიანი — რაინდთა სკოლა.

***ხმალი. 1985-1987 წ.წ.:*** 1. დავით მთვარელიძე, 2. გიორგი ბალსოლიანი (ორივე — 101-ე სკ.), 3. გიორგი აირაპეტიანი (170-ე სკ.).

***დაშნა (გოგონები). 1988-1989 წ.წ.:*** 1. ქეთი სილაგაძე — კოლეჯი „ბალავარი“, 2. სოფიო კეველიშვილი, 3. ნინო ვასაძე (ორივე — რაინდთა სკოლა).

***1985-1987 წ.წ.:*** 1. ქეთევან სილაგაძე — კოლეჯი „ბალავარი“, 2. ნინო მესხია (101-ე სკ.), 3. ნატო მაღრაძე (165-ე სკ.).

***დაშნა (ჭაბუკები) 1988-89 წ.წ.:*** 1. გოგი სილაგაძე — კოლეჯი „ბალავარი“, 2. შალვა ქეშელაშვილი (მე-5 სკ.), 3. მამუკა მახაშვილი — (169-ე სკ.).

***1985-1987 წ.წ.:*** 1. მიხეილ ჯიქია (161-ე სკ.), 2. ზურაბ სებისკვერაძე (კომაროვის სკ.), 3. ალექსანდრე ხმალაძე (24-ე სკ.).

**როზერტ ყარსელი**



*სურათზე: გამარჯვებულებისა და პრიზიორების ერთი ჯგუფი. I რიგში: ზურაბ ბალსოლიანი, კახა მაღრაძე; დგანან (მარცხნიდან): დათო მთვარელიძე, გიორგი აირაპეტიანი, გიორგი ბალსოლიანი.*

## სადღეისო თემა

ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ამაღლების კურსებზე მოგახსენებთ. ჩვენი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიასთან რამდენიმე წელიწადია ამ კურსებმა თავისი საქმიანობა თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისად გარდაქმნა და დარგის სპეციალისტებს შესაძლებლობას აძლევს ახალი ცოდნით, ახალი მიდგომებით აიმაღლონ კვალიფიკაცია (დირექტორი თ. სანებლიძე). ადრე ჩინებულად იყო აწყობილი საქმე. ნაკადებად მოდიოდნენ ცალკე მწვრთნელები სპორტის სახეობების მიხედვით, ცალკე ფიზაღზრდის მასწავლებლები, ცალკე მეთოდისტები, სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელები და ა.შ.

ეკონომიკური სიდუხჭირე დღეს, მართალია, ბევრ რამეში არ იძლევა გასაქანს, მაგრამ ყველაფერი ხომ ფულზე არაა დამოკიდებული.

## მზერაარიდებული კურსები

ზემოხსენებული კურსები, მაგალითად, უფასო სწავლებაზე იწვევს ფიზაღზრდის მასწავლებლებს, მაგრამ ვინ ისმენს, უპირველესად კი განათლების ხელმძღვანელი ორგანოები სდუმან. არადა, ზამთრის დადგომასთან დაკავშირებით, კურსებზე ისეთი პროგრამა აქვთ შემუშავებული მეცადინეობების უწყვეტობისა და ეფექტიანობის ამაღლებაში, რომ დაეხმარება ფიზაღზრდის მასწავლებლებს. მაგრამ არა, ყველა იცილებს თავიდან, კურსებისკენ გახედვაც არავის სურს. ეტყობა ყველა შეეგუა ინერტულობას. კურსებმა რეგიონებთან მუშაობის ახალი სისტემაც შეიმუშავა, კერძოდ, მოეწყობა გამსვლელი კურსები, ვთქვათ, ბათუმში, ქუთაისში, გორში, თელავში — ადგილობრივი ინსტიტუტების ბაზაზე იმ სპეციალისტების მიწვევით, რომლებიც ადგილებზე არ ჰყავთ. იქ შეიკრიბებოდნენ რეგიონის ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები და აიმაღლებდნენ კვალიფიკაციას, მაგრამ ესეც არავის სურს. ბოლოს და ბოლოს ერთი ქალაქისთვისაც შეიძლება გამსვლელი კურსების ორგანიზება, თითქოს ჰქონდათ ასეთი სურვილი ფოთში და ზემოხსენებულ სხვა ქალაქებში, მაგრამ შეთანხმებას პრაქტიკული ნაბიჯები არ მოჰყვა.

**კრივი** საერთაშორისო ტურნირი

## სუპერმძიმე წონაში ჩვენებური იყო უძლიერესი

აზერბაიჯანის დედაქალაქში გაიმართა აიბას პრეზიდენტის, პაკისტანელი დიქტატორის ანვარ ჩაუდრის IV საერთაშორისო ტრადიციული იუნიორთა ტურნირი კრივში 12 გუნდის მონაწილეობით: რინგზე იყვნენ: ამერიკის, ეგვიპტის, ალჟირის, რუსეთის, ყაზახეთის, პაკისტანის, ინდოეთის, უზბეკეთისა და სხვა ქვეყნების მოკრივეები. ასპარეზობაზე შესანიშნავად გამოვიდნენ ქართველი სპორტსმენები, განსაკუთრებით ისახელეს თავი ვარიანელმა იუნიორებმა. მათგან ტურნირის გამარჯვებულის სახელი მოიპოვა 63,5 კგ-წონით პაატა ვარდუაშვილმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა მეორე ვარიანელი მალხაზ ბერკაციშვილი. მათი თანამემამულე 60 კგ წონის ბადრი კერესელიძე დაძაბულ ფინალურ ბრძოლაში დამარცხდა ამერიკელ ალეხ როკთან და ვერცხლის მედალი ერგო. (მწვრთნელი გელა სხირტლაძე). სუპერმძიმე წონის (191) გაგა ბოლქვაძემ ფინალში სძლია მასპინძელ ამინ ქერიმოვს და პირველობა მოიპოვა. ტურნირის პრიზიორი გახდა, აგრეთვე ფოთელი ზურაბ უჩანეიშვილი (81 კგ), რომელმაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ტურნირში საქართველოს წარმომადგენლები გამოირჩეოდნენ ტექნიკურ-ტაქტიკური და ფიზიკური მომზადებით, ამის წყალობით ჩვენმა მოკრივეებმა გუნდური მეორე ადგილი მოიპოვეს. პირველობა აზერბაიჯანელ სპორტსმენებს დარჩათ, მესამე ადგილზეა აშშ-ს გუნდი.

**დავით ძავთარაძე,**
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი,
საქართველოს დამსახურებული
მწვრთნელი (ბაქო-თბილისი)

## ნაჩუქარი ინვენტარით...

თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავისა და ბორჯომის 80 მაგიდის ჩოგბურთელი მონაწილეობდა საქართველოს მოზრდილთა ჩემპიონატსა და ნორჩ (1987 წ. დაბადებულნი და უმცროსები) ჩოგბურთელთა ღია პირველობაზე ასპარეზობს, სამი დღე გრძელდებოდა მაგიდის ჩოგბურთი სპეციალურ დარბაზში. გამოვლინდნენ პატარა ჩოგნის პერსპექტიული სპორტსმენები. აღსანიშნავია, რომ ისინი ასპარეზობდნენ ახალ, იმპორტულ თანამედროვე მაგიდებზე, რომლებიც ქართველ ჩოგბურთელებს ევრო კავშირმა გადმოსცა, როგორც ჰუმანიტარული ნობათი.

მოზრდილებს შორის ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ: ლევან ბურკაძე, ვახტანგ იმერლიშვილი, სერგო იალიშევი, ნატო აბაშიძე (ყველა — თბილისი), თეონა მაისურაძე, ნარინე ეთარიანი (ორივე — ბათუმი).

ბიჭებში თავი ისახელეს: კოტე ხარატმა (თბილისი), მამუკა და ბადრი დოლიძემ (ორივე — ბათუმი). გოგონათა შორის — თეონა მაისურაძემ (ბათუმი), ლია თარუხიშვილმა და მაია დავითიძემ (ორივე — თბილისი).

შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციამ (პრეზიდენტი იური გონაძე).

## ჯანმრთელობის კუთხე



თერაპევტ ნინო აფაქიძის რედაქციით

## ? შეკითხვა „ლელოს“

**შეკითხვა:** ბევრი მსმენია და წამიკითხავს ცურვის დადებით მნიშვნელობაზე ჯანმრთელობის გაკაჟებაში. შესაძლებლობა მომეცა დამოუკიდებლად ვივარჯიშო ცურვაში და ამიტომ მჭირდება სპეციალისტის კონსულტაცია. მეც და ჩემნაირები დიდად მადლობელი ვიქნებით, თუ რაიმე რეკომენდაციას შემოგვთავაზებთ.

*დავით კიკალეიშვილი*
*56 წლის, უმუშევარი, თბილისი.*

**პასუხი:** რედაქციას შესაძლებლობა აქვს შემოგთავაზოთ რეკომენდაციები სისხლის მიმოქცევათა დაავადებათა პრევენციის (პროფილაქტიკის) სახელმწიფო პროგრამიდან. „ცურვა საუკეთესო საშუალებაა გულ-სისხლძარღვთა სისტემისათვის. გეხმარებათ წონის კონტროლში, აუმჯობესებს კუნთოვან ფუნქციას, მოქნილობას. იცურეთ ნებისმიერი ყაიდით მინიმუმ 20 წუთი, თანაბარი ტემპით, დაღლის სასიამოვნო შეგრძნებამდე, არ გადაიქანცოთ. დაიწყეთ 50 მეტრით. თუ ქოშინი დაგეტყოთ, შეისვენეთ; 100 მ გაცურვის შემდეგ შეისვენეთ 1 წუთი და ისევ გაცურეთ 100 მ. ეცადეთ მთლიანობაში გაცუროთ 700 მ (20 წუთში). ცურვა სასარგებლოა ნებისმიერ ასაკში, მათ შორის 50 წელს ზევით. ცურვის დასრულების შემდეგ გაისინჯეთ პულსი. მაქსიმალურმა გულისცემამ არ უნდა გადააჭარბოს 220 მინუს თქვენი ასაკი — მიღებული შედეგის 70 %-ს“.

სიახლეთა ესტაფეტა

## სპორტსმენთა სახელობის ქუჩები

ქ. ჩასლავში (ჩეხეთი) კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. მუნიციპალიტეტმა გაიზიარა საზოგადოებრიობის რეკომენდაცია და ქალაქის ქუჩებისთვის მსოფლიოში სახელგანთქმულ თანამემამულე სპორტსმენთა სახელების დარქმევა დაიწყეს.

## 800 ოლიმპიური ჩირაღდანი სიდნეისათვის

ოლიმპიური ცეცხლის ანთების ტრადიციაში, როგორც წესი, ცვლილებები არ შეაქვთ. ჩირაღდანი ინთება ოლიმპოს ქალაში, სადაც ძველმა ბერძნებმა ოლიმპიურ თამაშებს დაუდეს სათავე. სხვა საქმეა ცეცხლის ანთებისა და ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქამდე მოგზაურობის რიტუალის გამრავალფეროვნება. უკვე ცნობილი გახდა, რიტუალისათვის დამზადებულია 800 ჩირაღდანი.



# რატომ შეგვაშფოთა ნაკრებში ორი მწვრთნელის დანიშვნამ?

*(პირველი გვერდიდან)*

ტანოთ მის გულწრფელობაში? ბოლოს და ბოლოს მისთვის ეს ხომ არავის დაუძალებია. თურმე, ძოძუაშვილს, ლატვიაში მუშაობისას შერჩეული ჰყავდა სპეციალისტები, რომლებიც ცალკეულ სათამაშო რგოლში ეფექტიანობის ამაღლებაში ეხმარებოდნენ მას.

არა, ჩვენ ამას ჯერ ვერ ვეგუებით და შეიძლება მწარედაც ვცდებით. სარდლობაში იქნებ ეს მიუღებელია და უცნაურად ჟღერს – ომში ერთი სარდლობდეს იერიშს, მეორე – დაცვას, მაგრამ რა უფლება გვაქვს არ მივენდოთ ამ ორ გამოცდილ სპეციალისტს, არც ყიფიანია ის ახალბედა და, არც ძოძუაშვილი, რომ ცდუნებას აყვნენ და ალბათობის სასწორზე შეაგდონ ასეთი საპასუხისმგებლო საქმე და პირადი კარიერა. ვინ დაიჯერებს, რომ თავის შერცხვენა უნდათ და იმიტომ გადადგეს ეს ნაბიჯი? ჩვენზე უკეთ ალბათ თავად ჭვრეტენ რა სურთ. იქნებ სწორედ ამგვარ მიდგომაში და ერთობლივ ძალისხმევაში ხედავენ ქართული ფეხბურთის პრესტიჟის ხსნას.

***დავით ყიფიანი:*** „ჯერ კაცს მუშაობა არ დაუწყია და 5 მილიონ კაცს ტვინი აქვს გადმობრუნებული. ერთ რამეზე ფიქრობს, ეე, ამათ გაურეკიათ, რა დროს ორი მწვრთნელია. ჯერ ვინ გითხრათ თქვენ, რომ ორი მწვრთნელის მუშაობის პრეცენდენტი გაუმართლებელია. მე რამდენ მაგალითსაც გინდათ დაგისახელებთ“.

„თუ მარტო განცხადება გაინტერესებთ, გამოაცხადეთ, კი ბატონო, აი გავალთ ახლა 2 წუთით, შევთანხმდებით, ერთ-ერთი იქნება მთავარი მწვრთნელი, მეორე – თანაშემწე. ჩვენთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენთვის მთავარია შედეგი, რომ ხალხი გავახაროთ. ორი მწვრთნელის საკითხს ჩემთვის და ძოძუაშვილისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და თქვენთვის რატომ აქვს ასეთი დიდი მნიშვნელობა. აი, ეს ვერ გამიგია“.

აი, ასეთ ვითარებაში იწყებს მუშაობას ზემოხსენებულ მწვრთნელთა „ტანდემი“. დაწყებით კი იწყებენ, მაგრამ რა ნიშნულიდან?

– ქართული ფეხბურთი დღეს არ არსებობს. იცით, როდის არსებობს? როცა ხალხი მოდის სტადიონზე, ტრიბუნები სავსეა, ტაშს გიკრავენ, და უხარია ამ ხალხს. აი, ეს არის ფეხბურთი. – აცხადებს ყიფიანი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, მოკრძალებული უნდა იყოს გათვლებიც. ისევ ყიფიანს მოვუსმინოთ: „პროგრამა მაქსიმუმი – ესაა გასვლა, რა თქმა უნდა, მსოფლიოს შესარჩევ ციკლში და მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება. მინიმუმი კი არის ისეთი გუნდის შექმნა, რომ ჩვენს ერს, ჩვენს ხალხს არ შერცხვება ამ გუნდის, როგორც ახლა რცხვენიათ. აი, ეს არის პროგრამა მინიმუმი. თუ რა შედეგს მიაღწევს ეს გუნდი – მე-2 თუ მე-3 ადგილს დაიკავებს – ეს უკვე ცალკე სალაპარაკო თემაა“.

***რეზო ძოძუაშვილი:*** „რომ გითხრათ, თავი გვაქვს ჩამოსახრჩობი-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ფეხბურთელთა ამ თაობამ კარგად იცის, რას მოვითხოვთ მისგან. თუ საჭირო გახდება, ჩავალთ და ლეგიონერებს თამაშშიც ვნახავთ.“

მწვრთნელები მიიჩნევენ, რომ ფეხბურთელთა ამ თაობას ჯერ არ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობები, ყველაფერი შედარებითია და, მართლაც „დღეს ამათზე კარგი ფეხბურთელები არ გვყავს“. თუმცა, როგორც აცხადებენ ნაკრების მწვრთნელები, სელექციას შეუწყნარებელ ყურადღებას მიაქცევენ.

მოკლედ, ორი მწვრთნელის საკითხი გადაწყვეტილია და ისღა დაგვრჩენია შედეგს დაველოდოთ. „აღორძინების“ წინასაარჩევნო დევიზისა არ იყოს, იქნებ მართლა „ორი სჯობს ერთს!“

„ჭკუა, ჭკუის სალესავიაო“ – ნათქვამია, დავაცადოთ ამ ჭკვიან კაცებს დინჯად აკეთონ თავიანთი საქმე.

**მიმომხილველი**



## „ბენდელას თასი“ – მერვედ

დღეს, 21 დეკემბერს სპორტის სასახლეში დაიწყება აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ზაზა ბენდელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი მინიფეხბურთში – „ბენდელას თასის“ გათამაშება, რომელიც მერვედ ჩატარდება. ამ ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს 16 გუნდი, რომლებიც წილისყრამ ოთხ ჯგუფად გაამწესა:

A: „ბენდელა-მორკინალი“, „იბერია“, „ოლიმპიკი“, „მოყვარულები“

B: „ვერა“, „ზოოვეტი“, „სოლოლაკი“, „არსენალი“

C: „დინამო“ (თბ), „იბერია-2“, „მეტეხი“, „ლიდერი“

D: „ლოკომოტივი“, „თბილისი“, სფფ, „ნახალოვკა“.

როგორც ხედავთ, ტურნირის მონაწილე გუნდთა კონტიგენტი საკმაოდ მრავალფეროვანია. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის I ჯგუფის ბინადართა გარდა თავი მოიყარეს სხვა გუნდებმაც, რომელთა რიგებში მოსალოდნელია ჩვენი ლეგიონერების გამოჩენაც – საშობაო არდადეგების გამო მათ შინ ჩამოსვლის საშუალება მიეცათ. დებიუტანტთა რანგში იასპარეზებენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გუნდი და მოყვარულთა ნაკრები.

ჯგუფების ორ-ორი საუკეთესო გუნდი მეოთხედფინალში გავა – შეხვედრები 24 დეკემბერს ჩატარდება, ნახევარფინალები – ორი დღის შემდეგ, ხოლო მატჩი მესამე ადგილისთვის და ფინალი – 27 დეკემბერს.

იმედია, ზამთრის საფეხბურთო არდადეგების ამ პერიოდში, ფეხბურთის ქომაგთ კარგი თავშესაქცევი გამოუჩნდებათ.

# ეროვნული ჩემპიონატები

### ინგლისი ● XVIII ტური

**ლივერპული – ქოვენთრი 2-0**
*გოლები:* ოუენი, 45, კამარა, 75.

**არსენალი – უიმბლდონი 1-1**
*გოლები:* კორტი, 7 (0-1), ანრი, 61 (1-1).

**ასტონ ვილა – შეფილდი 2-1**
*გოლები:* დე ბილდე, 20-პენ. (0-1), მერსონი, 69 (1-1), ტეილორი, 82 (2-1).

**ბრედფორდი – ნიუკასლი 2-0**
*გოლები:* სონდერსი, 56, უეთეროლი, 71.

**ლესტერი – დერბი 0-1**
*გოლი:* პაუელი, 69.

**ვესტ ჰემი – მანჩესტერი 2-4**
*გოლები:* იორკი, 9 (0-1), გიგზი, 13 (0-2), გიგზი, 19 (0-3), დი კანიო, 23 (1-3), დი კანიო, 52 (2-3), იორკი, 62 (2-4).

**სანდერლენდი – საუთჰემპტონი 2-0**
*გოლები:* ფილიპსი, 30, ფილიპსი, 90.

**უოტფორდი – ევერტონი 1-3**
*გოლები:* ბარმბი, 4 (0-1), ჰათჩისონი, 37 (0-2), ნგონგე, 60 (1-2), ანსუორთი, 86-პენ. (1-3).

**მიდლსბრო – ტოტენჰემი 2-1**
*გოლები:* ვეგა, 7 (0-1), ციგე, 34 (1-1), დინი, 67 (2-1).

**ჩელსი – ლიდსი 0-2**
*გოლები:* მაკფეილი, 66, მაკფეილი, 87.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიდსი | 18 | 13 | 2 | 3 | 32-19 | 41 |
| მანჩესტერი | 17 | 12 | 3 | 2 | 44-23 | 39 |
| სანდერლენდი | 18 | 11 | 4 | 3 | 33-17 | 37 |
| არსენალი | 18 | 11 | 3 | 4 | 32-17 | 36 |
| ლივერპული | 18 | 10 | 3 | 5 | 26-14 | 33 |
| ლესტერი | 18 | 9 | 2 | 7 | 26-24 | 29 |
| ტოტენჰემი | 17 | 8 | 3 | 6 | 26-22 | 27 |
| მიდლსბრო | 18 | 8 | 3 | 7 | 23-25 | 27 |
| ვესტ ჰემი | 17 | 7 | 4 | 6 | 19-18 | 25 |
| ჩელსი | 16 | 7 | 3 | 6 | 21-17 | 24 |
| ევერტონი | 18 | 6 | 6 | 6 | 28-28 | 24 |
| ასტონ ვილა | 18 | 6 | 4 | 8 | 16-20 | 22 |
| ქოვენთრი | 18 | 5 | 6 | 7 | 23-20 | 21 |
| უიმბლდონი | 18 | 4 | 9 | 5 | 28-30 | 21 |
| ნიუკასლი | 18 | 5 | 4 | 9 | 28-32 | 19 |
| საუთჰემპტონი | 17 | 4 | 5 | 8 | 20-27 | 17 |
| ბრედფორდი | 17 | 4 | 4 | 9 | 15-25 | 16 |
| დერბი | 18 | 4 | 3 | 11 | 16-29 | 15 |
| უოტფორდი | 18 | 3 | 2 | 13 | 14-36 | 11 |
| შეფილდი | 17 | 1 | 3 | 13 | 15-42 | 6 |

### გერმანია ● XVII ტური

**ვერდერი – ბაიერნი 0-2**
*გოლები:* იანკერი, 71. პაულო სერჯიო, 82.

**ბაიერი – უნტერჰახინგი 2-1**
*გოლები:* მატ ციმერმანი, 61 (0-1), ბრდარიჩი, 69 (1-1), ბრდარიჩი, 71 (2-1).

**ჰამბურგი – დუისბურგი 6-1**
*გოლები:* იებოა, 8 (1-0), ჰაიტო, 11, საკ.კარში (2-0), ბაირლე, 20 (2-1), იებოა, 29 (3-1), ბუტი, 41-პენ. (4-1), ჰირში, 43-საკ. კარში (5-1), ჰოოგმა, 90 (6-1).

**მიუნხენ 1860 – კაიზერსლაუტერნი 2-1**
*გოლები:* მაქსი, 4 (1-0), ჯორკაეფი, 15-პენ. (1-1), ჰესლერი, 75-პენ. (2-1).

**ფრაიბურგი – ვოლფსბურგი 1-1**
*გოლები:* იუსკოვიაკი, 19 (0-1), სელიმი, 48 (1-1).

**ულმი – აინტრახტი 3-0**
*გოლები:* ლეანდრო ფონსეკა, 8, შარინგერი, 48, ზდრილიჩი, 69.

**არმინია – შტუტგარტი 1-2**
*გოლები:* ბიომე, 60 (1-0), დანდი, 75 (1-1), დანდი, 82 (1-2).

**ჰანზა – შალკე 1-0**
*გოლი:* ბენკენი, 70

**ბორუსია – ჰერტა 4-0**
*გოლები:* ნიიპუსი, 16, მიხალკე, 21 საკ. კარში, ბობიჩი, 33, კიორნსი 69

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 17 | 11 | 3 | 3 | 33-13 | 36 |
| ბაიერი | 17 | 9 | 7 | 1 | 29-18 | 34 |
| ჰამბურგი | 17 | 8 | 7 | 2 | 39-19 | 31 |
| მიუნხენ 1860 | 17 | 8 | 5 | 4 | 28-21 | 29 |
| ბორუსია | 17 | 7 | 7 | 3 | 24-13 | 28 |
| შტუტგარტი | 17 | 8 | 3 | 6 | 21-19 | 27 |
| ვერდერი | 17 | 7 | 5 | 5 | 34-24 | 26 |
| კაიზერსლაუტ. | 17 | 7 | 2 | 8 | 21-30 | 23 |
| ჰერტა | 17 | 5 | 7 | 5 | 22-28 | 22 |
| შალკე | 17 | 4 | 9 | 4 | 21-20 | 21 |
| ვოლფსბურგი | 17 | 5 | 6 | 6 | 22-30 | 21 |
| ფრაიბურგი | 17 | 5 | 5 | 7 | 24-23 | 20 |
| უნტერჰახინგი | 17 | 5 | 5 | 7 | 18-20 | 20 |
| ჰანზა | 17 | 5 | 5 | 7 | 23-35 | 20 |
| ულმი | 17 | 5 | 4 | 8 | 19-25 | 19 |
| დუისბურგი | 17 | 2 | 7 | 8 | 18-30 | 13 |
| აინტრახტი | 17 | 3 | 2 | 12 | 17-27 | 11 |
| არმინია | 17 | 2 | 5 | 10 | 13-31 | 11 |

### ესპანეთი ● XVI ტური

**დეპორტივო – სელტა 1-0**
*გოლი:* ტურუ ფლორესი, 65.

**რეალი – ესპანიოლი 2-1**
*გოლები:* ბენიტესი, 24 (0-1), რაული, 42 (1-1), იერო, 52 (2-1).

**ვალიადოლიდი – ალავესი 1-1**
*გოლები:* კონტრა, 20 (1-0), როდრიგო, 69 (1-1).

**ბეტისი – მალიორკა 1-0**
*გოლი:* ფინიდი, 63.

**ნუმანსია – რასინგი 2-1**
*გოლები:* პაჩეტა, 3 (1-0), ბარბუ, 50 (2-0), რუშფელდტი, 88 (2-1).

**ატლეტიკი – სარაგოსა 2-2**
*გოლები:* ესკერო, 13 (1-0), ველისკა, 30 (1-1), მილოშევიჩი, 34-პენ. (1-2), ლაკრუსი 37 (2-2)

**მალაგა – სოსიედადი 0-0**

**ვალენსია – რაიო ვალეკანო 3-1**
*გოლები:* ხუან სანჩესი, 12 (1-0), სემბრანოსი, 70 (1-1), ხუან სანჩესი, 75 (2-1), მენდიეტა, 90 (3-1).

**ბარსელონა – ატლეტიკო 2-1**
*გოლები:* ლუის ენრიკე, 35 (1-0), ჰასელბანკი, 43-პენ. (1-1), ზენდენი, 80 (2-1).

**ოვიედო – სევილია 4-2**
*გოლები:* ხუან კარლოსი, 27 (0-1), ონოპკო, 32 (1-1), იგლესიასი, 58 (2-1), ხუან კარლოსი, 70 (2-2), დელი ვალდესი, 72 (3-2), ხაიმე, 90 (4-2).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 16 | 11 | 3 | 2 | 32-17 | 36 |
| სელტა | 16 | 9 | 1 | 6 | 22-17 | 28 |
| სარაგოსა | 16 | 7 | 6 | 3 | 30-17 | 27 |
| ბარსელონა | 16 | 8 | 2 | 6 | 35-25 | 26 |
| ალავესი | 16 | 7 | 4 | 5 | 20-18 | 25 |
| რაიო ვალეკანო | 16 | 8 | 1 | 7 | 25-24 | 25 |
| ვალენსია | 16 | 7 | 3 | 6 | 23-16 | 24 |
| ნუმანსია | 16 | 6 | 5 | 5 | 25-27 | 23 |
| ბეტისი | 16 | 7 | 2 | 7 | 16-26 | 23 |
| მალიორკა | 16 | 6 | 4 | 6 | 22-22 | 22 |
| ატლეტიკი | 16 | 5 | 7 | 4 | 23-24 | 22 |
| რეალი | 16 | 4 | 8 | 4 | 26-28 | 20 |
| ესპანიოლი | 16 | 5 | 4 | 7 | 25-26 | 19 |
| რასინგი | 16 | 4 | 6 | 6 | 24-25 | 18 |
| სოსიედადი | 16 | 4 | 6 | 6 | 19-21 | 18 |
| მალაგა | 16 | 4 | 5 | 7 | 24-27 | 17 |
| ატლეტიკო | 16 | 5 | 2 | 9 | 24-31 | 17 |
| ოვიედო | 16 | 4 | 5 | 7 | 16-24 | 17 |
| ვალიადოლიდი | 16 | 4 | 5 | 7 | 15-23 | 17 |
| სევილია | 16 | 2 | 7 | 7 | 18-26 | 13 |

### ჰოლანდია ● XVII ტური

**ეინდჰოვენი – ჰერენვეენი 0-1**
*გოლი:* ლურლინგი, 84.

**ფორტუნა – ვიტესი 3-3**
*გოლები:* სიკორა, 29 (0-1), ჰამინგი, 50 (1-1), კრეეკი, 70 (1-2), ჰამინგი, 84 (2-2), სიკორა, 86 (2-3), ვოლმერი, 90 (3-3).

**ტვენტე – როდა 2-1**
*გოლები:* ვან დერ ლაანი, 52 (1-0), შუტანგი, 81 (1-1), ჰასელინკი, 83 (2-1).

**აზ-67 – ნიიმეგენი 1-1**
*გოლები:* ვან გალენი, 12 (1-0), დე გიერი, 68 (1-1).

**ვილემ II – სპარტა 0-0.**

**უტრეხტი – ფეიენოორდი 3-4**

**გრააფსხაპი – აიაქსი 1-1**

### იტალია ● XIV ტური

**ბარი – ინტერი 2-1**
*გოლები:* ენინაია, 7 (1-0), ვიერი, 12 (1-1), კასანო, 88 (2-1).

**ვერონა – ვენეცია 1-0**
*გოლი:* ადაილტონი, 57-პენ.

**კალიარი – ლეჩე 0-0.**

**ლაციო – პიაჩენცა 2-0**
*გოლები:* სალასი, 9, მიხაილოვიჩი, 59.

**მილანი – რეჯინა 2-2**
*გოლები:* პირლო, 29 (0-1), შევჩენკო, 61 (1-1), შევჩენკო, 74 (2-1), კალონი, 78 (2-2).

**პარმა – რომა 2-0**
*გოლები:* კრესპო, 3, ტორიზი, 32.

**პერუჯა – ბოლონია 3-2**
*გოლები:* კალორი, 33 (1-0), ვომე, 50 (1-1), ამორუზო, 60 (2-1), სინიორი, 65 (2-2), რიპა, 81 (3-2).

**ტორინო – უდინეზე 0-1**
*გოლი:* იორგენსენი, 27.

**ფიორენტინა – იუვენტუსი 1-1**
*გოლები:* ტუდორი, 17 (0-1), ბატისტუტა, 20 (1-1).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაციო | 14 | 9 | 4 | 1 | 30-13 | 31 |
| იუვენტუსი | 14 | 8 | 5 | 1 | 17-7 | 29 |
| პარმა | 14 | 8 | 3 | 3 | 27-17 | 27 |
| რომა | 14 | 7 | 4 | 3 | 26-14 | 25 |
| მილანი | 14 | 6 | 6 | 2 | 29-19 | 24 |
| ინტერი | 14 | 7 | 2 | 5 | 24-12 | 23 |
| ბარი | 14 | 5 | 5 | 4 | 17-17 | 20 |
| პერუჯა | 14 | 6 | 2 | 6 | 16-18 | 20 |
| უდინეზე | 14 | 5 | 4 | 5 | 19-22 | 19 |
| ფიორენტინა | 14 | 4 | 6 | 4 | 15-17 | 18 |
| ლეჩე | 14 | 5 | 3 | 6 | 15-23 | 18 |
| ბოლონია | 14 | 4 | 5 | 5 | 11-13 | 17 |
| ვერონა | 14 | 4 | 4 | 6 | 11-19 | 16 |
| ტორინო | 14 | 3 | 5 | 6 | 10-17 | 14 |
| რეჯინა | 14 | 2 | 6 | 6 | 15-23 | 12 |
| პიაჩენცა | 14 | 2 | 5 | 7 | 9-16 | 11 |
| ვენეცია | 14 | 2 | 3 | 9 | 9-19 | 9 |
| კალიარი | 14 | 0 | 7 | 7 | 12-25 | 7 |



## ფეხბურთში ჭაბუკთა შორის საქართველოს 1999-2000 წლების ჩემპიონატი გივი ჩოხელის პრიზზე, 1982-1983 წლებში დაბადებულთათვის

### I ეტაპი ● ცენტრალური ზონა ● „ბ“ ჯგუფი

| № | გუნდები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | ბ. | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | მერანი-91-1 | | 0-1 | 4-2 | 1-3 | 3-0 | 3-2 | 0-0 | 2-1 | 4-0 | 17-9 | 16 | 1 |
| 2. | თელეთი | 1-2 | | 2-2 | 3-1 | 3-6 | 0-0 | 2-0 | 2-2 | 1-1 | 14-12 | 13 | 5 |
| 3. | დინამო-2 | 2-4 | 2-2 | | 3-0 | 1-2 | 3-0 | 1-0 | 3-2 | 3-3 | 18-13 | 14 | 4 |
| 4. | ვითა-ჯორჯია-2 | 3-1 | 1-3 | 0-3 | | 2-0 | 1-7 | 1-3 | 2-2 | 1-9 | 11-28 | 7 | 7 |
| 5. | ცხინვალი | 0-3 | 6-3 | 2-1 | 0-2 | | 2-3 | 1-4 | 1-2 | 0-5 | 12-23 | 6 | 8 |
| 6. | ოლიმპიკი-1 | 2-3 | 0-0 | 0-3 | 7-1 | 3-2 | | 4-0 | 9-0 | 2-1 | 27-10 | 16 | 2 |
| 7. | გაზაფხული(გორი) | 0-0 | 0-2 | 0-1 | 3-1 | 4-1 | 0-4 | | 4-1 | 2-5 | 13-15 | 10 | 6 |
| 8. | ლილო | 1-2 | 2-2 | 2-3 | 2-2 | 2-1 | 0-9 | 1-4 | | 0-3 | 10-26 | 5 | 9 |
| 9. | ორბი (გორი) | 0-4 | 1-1 | 3-3 | 2-1 | 5-0 | 1-2 | 5-2 | 3-0 | | 20-13 | 14 | 3 |

## ვიალის გაძევება არ აკმარეს

ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების ბოლო ტურის მატჩში („ლაციო“ – „ჩელსი“) სტუმართა გუნდის თავკაცი ჯანლუკა ვიალი გუნდის სათადარიგოთა სკამიდან გააძევეს და მას „ჩელსის“ გასახდელიდან მოუწია მატჩის „ჩამთავრება“. ყოველივე ეს, შეხვედრის არბიტრ, გერმანელი ჰელმუტ კრუგის მისამართით ნასროლი „ტკბილი სიტყვების“ გამო მოხდა, რისთვისაც უეფამაც დასაჯა „ჩელსის“ იტალიელი მწვრთნელი – გუნდის მომდევნო მატჩს ჩემპიონთა ლიგაში („ოლიმპიკი“ – „ჩელსი“) ვიალი მხოლოდ ტრიბუნიდან თუ უთვალთვალებს, რადგან მას ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.



UEFA CUP

მიმოხილვა

# ნუთუ ისევ იტალიაში?

**უეფას მამებმა წლეულს ევროტურნირების ახალი სისტემა დანერგეს, რითაც გვარიანი სახეცვლილება მისცეს უეფას თასის გათამაშებასაც. ეს კი ჩემპიონთა ლიგის გაფართოებამ და ქართველთათვის ტრიუმფური თასების მფლობელთა თასის გაუქმებამ გამოიწვია.**

დიახ, ჩემპიონთა ლიგამ ოდნავ დააკნინა უეფას თასის პრესტიჟი, მაგრამ აქ დარჩენილი გუნდები დიდად როდი ჩამორჩებიან მათ? ავილოთ თუნდაც იტალიური გრანდები „რომა“, „იუვენტუსი“ და „პარმა“. ბოლო ათწლეულში ხომ იტალიურმა კლუბებმა ლამის დაატყვევეს უეფას თასი. მას ახლა პარმელები ფლობენ და უეჭველია, დიდი ბრძოლის გარეშე არავის გაატანენ. 1/16 ფინალში მათ დიდი ბრძოლა მოუხდათ ავსტრიის „შტურმის“ დასამარცხებლად და მხოლოდ დამატებით დროში დაამტკიცეს თავისი უპირატესობა. „იუვე“ და „რომა“ ასევე უმთავრეს ფავორიტებად ითვლებიან, რამეთუ სერია — „A“-ში ორივე დიდებულად ასპარეზობს. „ბებერი ქალბატონი“ შარშანდელი კრიზისიდან გამოვიდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ არიან ჩვეულ ფორმაში მისი ლიდერები — ფრანგი გენიოსი ზინედინ ზიდანი და ალესანდრო დელ პიერო. ფაბიო კაპელომ კი აშკარად დაატყო თავისი ხელი „რომას“, რომლის მსხვერპლი ამას წინათ თემურ ქეცბაიას „ნიუკასლი“ გახდა. უეფას თასს მეოთხე იტალიური კლუბი „უდინეზეც“ შემორჩენია, რომელმაც ლევერკუზენის „ბაიერს“ მისსავე კედლებში გამოსტაცა გამარჯვება, თუმცა უდინელები აშკარად ჩამოუვარდებიან ზემოთ ნახსენებ სამ თანამემამულე გრანდს. იტალიელთა კოჰორტას მხოლოდ „ბოლონია“ გამოაკლდა, რომელსაც თურქულმა „გალათასარაიმ“ გადაუკეტა გზა. თურქებისგან კვლავაც ელიან ალმასვლას.

ოთხი გუნდით მიაპობენ გზას ესპანელებიც, რომლებიც ბოლო წლებში უეფას თასთან მწყრალად არიან. ამ ოთხეულიდან გამორჩეულად „დეპორტივოს“ და „სელტას“ უფრთხიან, რადგან „მალიორკა“ და „ატლეტიკო“ წლეულს შარშანდელის მსგავს ფეხბურთს ველარ უჩვენებენ, ვნახოთ...

ფრანგებს მხოლოდ „მონაკო“ და „ლანსი“ შემორჩნენ. ქვეყნის ჩემპიონატის ლიდერი მონაკოელები ახლა ძალზედ დიდ ძალას წარმოადგენენ და გრანდების ვარდით მოცულ გზას შეიძლება ეკლად დაუდგნენ. მათი შემადგენლობიდან ალვნიშნავდით არგენტინელ დისპეტჩერ გალიარდოს და იტალიელ ბომბარდირ სიმონეს.

1/16 ფინალებში გერმანულმა კლუბებმა ნამდვილი დრამა გაათამაშეს. ლამის უიმედოდ მყოფებმა „ვერდერმა“ და „დორტმუნდის“ „ბორუსიამ“ სასწაულად გაიკვლიეს გზა მერვედფინალისკენ, ხოლო ფავორიტებად შერაცხულებმა „კაიზერსლაუტერნმა“ და ლევერკუზენელებმა თავიანთი გულშემატკივრები გააწბილეს. ბრემენიც და დორტმუნდიც მომავალ ბრძოლებს ელის და არა გვგონია გერმანული ბრჭყალები არ გამოჩნდეს. ხომ გახსოვთ, ორი წლის წინ გელზენკირხენის „შალკემ“ უეფას თასი ჩაიბარა, არადა მათ სათვალავშიც არავინ აგდებდა.

და ბოლოს, ინგლისელები. დიდებული თამაშის მიუხედავად „არსენალმა“ ვერაფრით აჯობა „ფიორენტინას“ და ჩემპიონთა ლიგას გამოეთხოვა. „მეთოფეებს“ წარმატების ყველა პირობა აქვთ და შეეცდებიან, ფლორენციელთა შური ისევ იტალიელებზე იძიონ. არსენ ვენგერს ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, დაცვის ხაზის გაძლიერება მოუწევს. და „ლიდსი“? ეს გუნდი მეტწილად უწვერული ბიჭებითაა (სმიტი, ჰაკერბი, ვუდგეითი, ბრეჯისი, ბოუეიერი) დაკომპლექტებული. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების „გრანდები“ — ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივი“ და „სპარტაკი“ ერთმანეთის მოყოლებით გამოთიშეს და ეშხშიც მოსულნი არიან, მით უმეტეს, რომ პრემიერლიგას ლიდერობენ.

ასე რომ, გაზაფხულიდან ჩემპიონთა ლიგის დარად უეფას თასიც (რა ვუყოთ, რომ ქართველი ლეგიონერების გარეშე) გამოგვალვიძებს.

ილია ნანობაშვილი

*სურათზე: 1999 წელს „პარმა“ უეფას თასს დაეუფლა და მიმდინარე გათამაშებაშიც ერთ-ერთი ფავორიტია.*

# ძმები ინძაგების ასავალ-დასავალი

**ახლა და კარგა ხანს ჩვენი გულშემატკივრების ყურადღების ცენტრში, გასაგები მიზეზების გამო, იტალიური ფეხბურთი იქნება. დღეს ძმებზე, ფილიპო და სიმონე ინძაგებზე ვისაუბრებთ. ფილიპო 26 წლისაა, სიმონე კი მასზე 3 წლით უმცროსი.**

ფილიპომ, გასაგებია, ყურადღება უფრო ადრე მიიპყრო. იგი 1996-97 წლების ჩემპიონატში ბერგამოს „ატლანტაში“ თამაშობდა, 24 გოლი გაიტანა და „სერია A“-ს საუკეთესო სნაიპერი გახდა. ამის შემდეგ იგი ტურინის „იუვენტუსმა“ მიიწვია, სადაც ახლა წარმატებით თამაშობს. სიმონეს სნაიპერული ღირსებები კარგად გამოჩნდა შარშანდელ სეზონში — პიაჩენცაში“ (ორივე ძმამ სწორედ ამ ქალაქში დაიწყო თამაში), სადაც მან 15 გოლი გაიტანა, სნაიპერთა პირველ ათეულში მოხვდა, რის შემდეგ იგი რომის „ლაციოში“ აღმოჩნდა. აქ თავდასხმაში გამოდიან სალასი, ბოკშიჩი, მანჩინი. სიმონემ სწორედ მათ უნდა გაუწიოს კონკურენცია.

როგორი იყო ძმები ინძაგების სპორტული გზა?

***ფილიპო:*** რა თქმა უნდა, ჩვენ დიდად დაგვეხმარა ბუნება — ასეთად გაგვაჩინა. მართალია, ფეხბურთის თამაში ჩვენთვის გართობა იყო, მაგრამ შემდეგ შევეცადეთ პროფესიული თვალსაზრისით რალაცისათვის მიგველწია.

***სიმონე:*** ოჯახშიც ძალიან გვიწყობდნენ ხელს. მამაჩვენი ფეხბურთელი არა ყოფილა, მაგრამ ისიც და დედაც ცდილობდნენ გაეგოთ ჩვენთვის, დაგვხმარებოდნენ და მხარში ამოგვდგომოდნენ. ფეხბურთში ხშირადაა რთული, დელიკატური მომენტები, როცა პრობლემების წინაშე დგები. აი სწორედ მაშინ უნდა გყავდეს ვინმე, რომელიც სიძნელეებს გადაგატანინებს, წინსვლას გაგიადვილებს.

● ***როცა ძმა გყავს, რომელიც, ამავე დროს, ჩინებული ფეხბურთელია, ეს გარემოება დამატებით სტიმულს გაძლევს თუ, პირიქით, შენზე ზეწოლას ახდენს?***

***ფილიპო:*** ეს ჩემთვის, რა თქმა უნდა, სტიმულია მაშინაც კი, როცა სიმონე ჩემზე უმცროსია, ანდა, პირიქით, სწორედ ამის გამოც. ჩემთვის ძალზე საინტერესო იყო თვალყურის დევნება იმისათვის, როგორ იზრდებოდა იგი. თუმცა მას უმაღლეს ეშელონამდე მისაღწევად, ცოტა მეტი დრო დასჭირდა, მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი საწადელს მიაღწევდა. როცა ადამიანს მტკიცე ხასიათი აქვს, იგი სასურველს ყოველთვის მიაღწევს.

***სიმონე:*** ფილიპოს მაგალითი მე ყოველთვის მშველოდა. როცა იგი „სერია A“-ში იყო, მე ჯერ კიდევ „სერია C“-ში ვთამაშობდი. მე არასოდეს მქონდა შურის გრძნობა, ისე კი, საკუთარ თავს სიტყვა მივეცი, მიმებაძა მისთვის.

● ***თქვენ ძალიან გსურთ ერთად ითამაშოთ?***

***ფილიპო:*** დიახ. დღეისათვის მხოლოდ ეს თუ გვაკლია. მაგრამ არ გვინდა ბედს ძალიან ბევრი შევთხოვოთ. ჯერ იმით ვკმაყოფილდებით, რაც გვაქვს.

***სიმონე:*** რა თქმა უნდა, ძალიან კარგი იქნებოდა, ერთ გუნდში გვეთამაშა. ვეთანხმები ფილიპოს: ახლა ჩვენ დიდ, ამბიციურ კლუბებში ვთამაშობთ. ჯერ ამით უნდა დავკმაყოფილდეთ. ფეხბურთში, ისევე როგორც ცხოვრებაში, წინასწარ ვერ გაიგებ, რა გელის მომავალში.

● ***მინდორზე როგორი მეტოქეები ხართ?***

***ფილიპო:*** ამის გადმოცემა შეუძლებელიც კია. პირველად ეს ერთი წლის წინ ტურინში მოხდა. გულის სიღრმეში ვფიქრობდი, როგორმე სიმონეს ჩვენთვის გოლი არ გაეტანა. ამ შემთხვევაში „იუვენტუსს“ ძალიან გაუჭირდებოდა. ამასთან, მე ძალიან მეამაყებოდა, რომ იგი ასე მშვენივრად თამაშობდა.

***სიმონე:*** ეს დღე მეც ძალიან კარგად მახსოვს. ეს იყო ჩემპიონატის მეოთხე ტური, „იუვენტუსი“ „პიაჩენცას“ ეთამაშებოდა, „დელ ალპეს“ სტადიონზე. ფილიპომ უკვე მერვე ტურში გაგვიტანა გოლი. ცოტა ხნის შემდეგ მეც მქონდა ამის შესაძლებლობა, მაგრამ არ გამიმართლა. ამ ერთადერთი გოლის წყალობით, რომელიც ჩემმა ძმამ გაიტანა, „იუვემ“ გაიმარჯვა კიდეც. ამ მატჩის შემდეგ საოცარი გრძნობა დამეუფლა: თავს მშვენივრად ვგრძნობდი, თუმცა, შეხვედრა წავაგეთ.



*შეტევაზე ფილიპო ინძაგი*

● ***რა გინდოდათ ერთმანეთისაგან გადაგეღოთ?***

***ფილიპო:*** ჩვენ არ უნდა გვქონდეს იმაზე მეტის პრეტენზია, რაც ამჟამად გვაქვს. მეც და ჩემს ძმასაც ჩვენი თავისებურებები გვაქვს. სიმონეს სხვა არაფერი სჭირდება. იგი თავისი გზით მიდის, რასაც მინდორზე ამტკიცებს კიდეც.

***სიმონე:*** მეც მინდოდა ისეთი გოლები გამეტანა, როგორც ამას ფილიპო აკეთებს. იგი იშვიათი შეუპოვრობით ქმნის საგოლე მომენტებს, ჩინებულად თამაშობს თავით. თუმცა მე მასზე უფრო მაღალი ვარ (185 სმ 181 სმ-თან შედარებით), ფილიპოს ბევრი გოლი გააქვს თავით.

● ***რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის ქ. პიაჩენცას და მის საფეხბურთო კლუბს?***

***ფილიპო:*** ეს ის ქალაქია, სადაც ჩვენ გავიზარდეთ. იგი თითქოს წყნარი, ნორმალური ადამიანური, ცხოვრებისათვის არის შექმნილი. ასეთი ვითარება ძალიან გვიწყობდა ხელს. შესანიშნავი მასწავლებლები გვყავდა, რომლებიც დაგვეხმარნენ დავუფლებოდით ფეხბურთს. ჩვენ მათ ძალიან ვემადლიერებით.

***სიმონე:*** ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, როგორ აკეთებდნენ საქმეს. სანამ დრო არ დადგა, მანამდე ნამდვილ ბრძოლაში არ ჩაგვაბეს. საფეხბურთო ხელოვნების საწყისებს დაბალ ლიგებში ვეუფლებოდით. ეს ახალგაზრდებისათვის აუცილებელი გახლავთ. შემდეგ მწვრთნელმა მატერაციმ გადაწყვიტა, რომ დადგა დრო, „სერია A“-ს კლუბის ძირითად შემადგენლობაში გამოვეყვანე. იგი, საერთოდ, ენდობა ახალგაზრდებს, როცა საშუალება მიეცემა, მინდორზე დებიუტანტები გამოჰყავს.

● ***თქვენ „ინძაგების ოჯახის ბედნიერ კუნძულს“ გიწოდებენ...***

***ფილიპო:*** მშობლებს მოსწონდათ ჩვენი გატაცება ფეხბურთით და ყოველმხრივ გვიწყობდნენ კიდევაც ხელს. ამავე დროს, მათ უნდოდათ, რომ ჩვენ გვესწავლა, მხოლოდ ფეხბურთზე არ გვიფიქრია. როცა სკოლაში დავდიოდით, ისე გვეგონა, რომ სწავლა, უბრალოდ, დროის ფუჭად დაკარგვა იყო. შემდეგ კი მივხვდით, რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სწავლას.

***სიმონე:*** ჩვენი ოჯახი — ეს არის ყველაზე ძვირფასი რამ, რაც კი გაგვაჩნია. რა თქმა უნდა, ჩვენს მშობლებს ახლა უკვე გაურთულდათ ცხოვრება. ადრე ისინი პიაჩენცასა და ტურინს შორის მოგზაურობდნენ. ახლა მარშრუტი უფრო გაგრძელდა: ტურინი — რომი.

● ***თქვენი ღირსება — ნაკლოვანებები?***

***ფილიპო:*** სიმონე ძალზე ყოჩაღია. იგი თავმდაბალია, ყოველთვის მზად არის დახმარება გაგიწიოს. რასაც მიაღწია, რა თქმა უნდა, სავსებით დაიმსახურა კიდეც. ნაკლი? ძალზე ძნელია რაიმე ნაკლი მოუძებნო, იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს. შესაძლოა, ცოტა ორგანიზებულობა აკლია. მაგრამ განა ეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს?

***სიმონე:*** ფილიპოს ყველაზე დამახასიათებელი თვისება მისი გულკეთილობაა. იგი ყოველთვის სხვებზე ფიქრობს, თუკი ვინმეს უჭირს, ყველაფერს გააკეთებს, რათა დაეხმაროს. ამბობენ, ცოტათი ეჭვიანიაო, მაგრამ არა მგონია, რომ ეს დიდი ცოდვა იყოს.

● ***თქვენ იტალიის საფეხბურთო სამყაროში ყველაზე უფრო ცნობილი ძმები ხართ. აქ ხომ უამრავი უცხოელი მოთამაშე გამოდის. ისე რომ, იტალიის ჩემპიონატში თითქმის... ერის წარგზავნილები ხართ.***

***ფილიპო:*** მიგიხვდით. ვფიქრობ, ეს თავისებური მინიშნება იყო, და ჩვენი მაგალითი გასათვალისწინებელია. იტალიაში ბევრი ნიჭიერი ჭაბუკია. კარგად თუ მოვძებნით, გამოჩნდებიან კიდეც ახალი ინძაგები, ახალი ვიერები და მონტელები. მე უცხოელების მოწინააღმდეგე როდი ვარ. მაგრამ სასურველია, რომ ისინი საჭირო მოთამაშეები იყვნენ, რომლებსაც შეეძლებათ გუნდის სახის შეცვლა.

***სიმონე:*** ჩვენც ბიჭების ჯგუფებში ვიზრდებოდით. ამავე დროს ისიც ვიცით, თუ როგორია ზევითკენ გზის გაკაფვა. მე ვეთანხმები ფილიპოს: თუკი უცხოელს შეუძლია დაეხმაროს გუნდს, შეასრულებინოს თვისობრივი ნახტომი, მაშინ გაუმარჯოს ასეთ ფეხბურთელს. ახლა კი იტალიაში ძალზე ბევრია სრულიად ჩვეულებრივი უბრალო მოთამაშე, რომელიც საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა. ასეთები ხომ არანაკლები რაოდენობით ჩვენც გვყავს. ისინი უცხოელებს არ ჩამოუვარდებიან, შეიძლება უკეთესებიც არიან, მაგრამ იძულებული გახდნენ „B“ და „C“ სერიებში ითამაშონ.

● ***რა არის სახელის მოპოვება: სიხარული თუ ზედმეტი ტვირთი?***

***ფილიპო:*** რა თქმა უნდა, სიხარული. სასიამოვნოა, როცა ადამიანებმა იციან, რას წარმოადგენ, რას აკეთებ, გიხარია, როცა მათში გარკვეულ ემოციებს იწვევ. მე არ ვეთანხმები იმათ, ვინც ფიქრობს, რომ ეს შენს პირად ცხოვრებაში რაღაცას გაკლებს. უნდა გქონდეს კარგი ურთიერთობა იმათთან, ვინც გმეგობრობს, ვინც გიყვარს.

***სიმონე:*** რა თქმა უნდა, ამას სიხარული მოაქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ცხოვრებაში რაღაცა კარგს აკეთებ. როცა სეირნობ, აუცილებლად შეგამჩნევენ, თუმცა ესეც შედის თამაშის წესებში. იმ დღეს, როცა ავტოგრაფი არავინ მოგვთხოვა, ცოტა სევდიანები ვართ ხოლმე.

● ***როგორი მიზნები გაქვთ მიმდინარე სეზონში?***

***ფილიპო:*** იმედი მაქვს, რომ სიმონე იმდენივე გოლს გაიტანს, რამდენიც წინა სეზონში „პიაჩენცაში“ გაიტანა. უფრო მეტი წარმატება ექნება. მეც ასეთნაირად გავიუმჯობესე შედეგები. მინდა, რომ მან ახლა იგივე გააკეთოს.

***სიმონე:*** მე იმედი მაქვს, რომ ფილიპო ბევრს, ძალიან ბევრ გოლს გაიტანს. აგრეთვე ისიც მინდა, რომ ფილიპო სკუდეტოს არ დაეუფლოს, რადგან იგი „ლაციომ“ უნდა მოიპოვოს.

მოამზადა ბიბი თორელმა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## სერგო იროშაშვილი და მისი გუნდი

ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცი“, რომელსაც უკვე კარგა ხანია ქართველი მწვრთნელი სერგო იროშაშვილი უდგას სათავეში, რუსეთის მეორე დივიზიონის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია, თამაშობს „აღმოსავლეთის“ ზონაში და ყოველთვის საპრიზო ადგილებისათვის იბრძვის.

„ჩკალოვეცის“ კაპიტანია მცველი მურთაზ ნაჭყებია. იქვე თამაშობენ ჩვენი გულშემატკივრების ძველი ნაცნობები გელა წიქარიშვილი და მამუკა მანაგაძე. 1999 წლის სეზონიდან იქვე ჩაირიცხა მამუკა მინაშვილი, რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე სამარის „კრილია სოვეტოვში“ თამაშობდა.

გუნდის ნამდვილი „თილისმაა“ ცნობილი თავდამსხმელი, 44 წლის მერაბ მეგრელაძე. მას ასაკმა ვერაფერი დააკლო. როგორც სერგო იროშაშვილი თვლის, საქართველოში ბოლომდე ვერ გამოიყენეს ამ ფორვარდის დიდი შესაძლებლობები.

ახლა ქართველი მწვრთნელი გუნდში ახალგაზრდა მეკარე გიორგი გაბელიას მიწვევას აპირებს.

## სომხეთის ნაკრების ახალი მწვრთნელი

სომხეთის ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. სურენ ბარსეღიანი ვარუჟან სუქიასიანმა შეცვალა. მან ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატისთვის უნდა მოამზადოს.

სუქიასიანი 45 წლისაა. იგი ბოლო დრომდე ერევნის „ცემენტს“ წვრთნიდა. ბარსეღიანის გადაყენება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში სუსტმა გამოსვლამ განაპირობა, სადაც მან ბოლოსწინა, მეხუთე ადგილი დაიკავა და მხოლოდ ანდორის ნაკრებს გაასწრო.

## ბაიას ოპერაცია გაუკეთეს

„პორტუს“ მეკარე ვიტორ ბაიას მარჯვენა მუხლის ოპერაცია გაუკეთეს. იგი პორტუგალიის ნაკრების ძირითადი გოლკიპერია, არაერთხელ უხსნია კლუბი ჩემპიონთა ლიგის ახლანდელ გათამაშებაში. ბაია ადრეც უჩიოდა ტკივილებს მუხლში, ბერლინის „ჰერტასთან“ შეხვედრაში კი სერიოზულად დაშავდა და ახლა ერთი თვე უნდა გაატაროს. ამასთან, პორტუგალიელებს იმედი აქვთ, რომ ჩემპიონთა ლიგის განახლების დროისათვის, თებერვალში ვიტორ ბაია კვლავ მწყობრში ჩადგება.

## მაკმანამანმა საქმეს უნდა უშველოს

მადრიდის „რეალს“ ესპანეთის ჩემპიონატში მდგომარეობის გამოსწორების იმედი აქვს, მით უმეტეს, რომ წამყვანი ნახევარმცველი სტივ მაკმანამანი გამოჯანმრთელდა. მის გარდა, თამაში დაიწყეს იერომ და რედონდომ, რომლებიც კარგა ხნის მანძილზე მკურნალობდნენ. ახლაც განაგრძობენ მკურნალობას მცველი სანჩისი, თავდამსხმელი ბალიჩი და მეკარე ილგნერი. მალე ისინიც უნდა დაუბრუნდნენ გუნდს.

## ბეენჰაკერი ტოვებს „ფეიენოორდს“

გამოჩენილი ჰოლანდიელი მწვრთნელი ლეო ბეენჰაკერი მიმდინარე სეზონის დამთავრების შემდეგ ტოვებს როტერდამის „ფეიენოორდს“; მან ეს გადაწყვეტილება ორი თვის წინათ მიიღო. ბეენჰაკერმა კლუბს წელს კიდევ ერთხელ მოუტანა ქვეყნის ჩემპიონის წოდება. მას ბერტ ვან მარვიკი შეცვლის, რომელიც ახლა სიტარდის „ფორტუნას“ ხელმძღვანელობს.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის სად იმუშავებს ლეო ბეენჰაკერი.

## „მარსელს“ კვლავ სასამართლოში იწვევენ

საფრანგეთის იუსტიციის დეპარტამენტმა დაიწყო მარსელის „ოლიმპიკის“ ფინანსური საქმიანობის შესწავლა.

ბრალმდებლებს მხედველობაში აქვთ ყალბი დოკუმენტების გამოყენება და ქურდობა. როგორც იუსტიციის დეპარტამენტის პრეს-ატაშემ განაცხადა, შესწავლილი იქნება 5-6 კონტრაქტის ხელმოწერის ვითარება, რადგან არსებობს ვერსია, რომ ტრანსფერების თანხა მარსელის ერთი ბანკიდან, უბრალოდ, მეორეში გადადიოდა. პრეს-ატაშემ არ განმარტა, მაინც რომელი პერიოდი აინტერესებს გამომძიებას. ეტყობა, ეს არის 1997-98 წლების სეზონი, როცა მოკლე დროის პერიოდში კლუბში რამდენიმე ახალი მოთამაშე გამოჩნდა. მარსელის „ოლიმპიკის“ პრეზიდენტმა ივ მარშანმა განაცხადა, რომ ბრალდება არ ეხება კლუბის ახლანდელ ხელმძღვანელობას.

## სალენკოს „კორდობა“ დაატოვებინეს

ოლეგ სალენკო, მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი, ესპანეთის მეორე დივიზიონის კლუბ „კორდობადან“ გარიცხეს.

როგორც კლუბის პრეს-ატაშემ განაცხადა, სალენკო, ეჭვგარეშეა, დიდი ფეხბურთელია, მაგრამ მისი ფიზიკური მზადყოფნა აშკარად არადამაკმაყოფილებელია და ამიტომაც მიღწეულია შეთანხმება კონტრაქტის დარღვევის შესახებ.

## ინგლისურმა ფეხბურთმა თავი მოაბეზრა

ინგლისში დიდი ინტერესი გამოიწვია ლონდონის „არსენალის“ ფრანგ ნახევარმცველ ემანუელ პეტის პრეს-კონფერენციამ.

პეტიმ განაცხადა, რომ ინგლისურმა ფეხბურთმა ნამდვილად თავი მოაბეზრა. ფეხბურთელების დატვირთვა მეტად დიდია, კალენდარი — არარიტმული. პეტის განსაკუთრებით არ სიამოვნებს, რომ მატჩები შობისა და ახალი წლის დღესასწაულებში იმართება. „იმ დროს, როცა ყველა ნორმალური ადამიანი ზეიმობს, დღესასწაულობს, ჩვენ მინდორზე გავდივართ სათამაშოდ“. პეტის პროტესტს იწვევს ის ანტიფრანგული კამპანია, რომელიც ინგლისის პრემიერ-ლიგაშია. მსოფლიო ჩემპიონი თვლის, რომ ინგლისელი მსაჯები ცუდად ექცევიან ფრანგ ფეხბურთელებს. ამით აიხსნება ვიეირას, ლებეფის ხშირი გაძევებები, რასაც ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია მოჰყვება ხოლმე. პეტიმ მკაცრად გააკრიტიკა ინგლისელი ჟურნალისტები, რომლებსაც ნაგავში მოფუსფუსეები უწოდა.

## „ლიდსს“ მისი იმედი აქვს

რუსი კომენტატორებისაგან განსხვავებით, ინგლისელი ჟურნალისტები უეფას თასზე „ლიდს იუნაიტედის“ გამარჯვებას მოსკოვის „სპარტაკთან“ სრულიად დამსახურებულად თვლიან და იმასაც ფიქრობენ, რომ ამ კლუბს დიდი შესაძლებლობები აქვს, როგორც ამ ავტორიტეტულ ევროპულ ტურნირში, ისე ინგლისის ჩემპიონატში. აქ იგი „მანჩესტერ იუნაიტედის“ მეტოქედ ითვლება, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

„ლიდსს“ დაუბრუნდა ნახევარმცველი დევიდ ბეტი ტრავმის მოშუშების შემდეგ.

## ოთხი თვე ციხეში

ინგლისური „იფსვიჩ თაუნის“ მცველი ჰარი კროფტი მოძრაობის წესების არაერთგზის დარღვევისათვის 4 თვეს ციხეში გაატარებს. იგი 25 წლისაა, ადრე „ბლეკბერნში“ გამოდიოდა და ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებშიც იწვევდნენ. კროფტიმ, სხვა ფეხბურთელებისამებრ, ციხეში მხოლოდ ღამე უნდა გაათიოს. დღისით კი ჩვეულებრივ ცხოვრებას გააგრძელებს.

## 5 თებერვლამდე დაისვენებენ

**გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა**

***გერმანიის ჩემპიონატში დამთავრდა პირველი წრე. ახლა ცხადდება ხანგრძლივი შესვენება 5 თებერვლამდე.***

პარასკევს, XVII ტურის მატჩში ლიდერს, მიუნხენის „ბაიერნს“ მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრა ჰქონდა ბრემენში „ვერდერთან“, რომელიც 26 ქულით მეოთხე ადგილზე იმყოფებოდა. „ბაიერნმა“ მოიგო ეს მატჩი 2-0, 36 ქულა მოაგროვა და პირველი წრის გამარჯვებულად გამოცხადდა.



თქმა არ უნდა, ისევე, როგორც წინა ჩემპიონატში, „ბაიერნი“, სხვებზე უკეთ თამაშობს და პირველი ადგილის მთავარი პრეტენდენტია. ზოგი რამ ლიდერის ახლანდელი სპორტული ცხოვრებიდან. 22 წლის მანძილზე არ დამარცხებულა იგი თანაქალაქელ „1860 მიუნხენთან“ და მაინცდამაინც XIII ტურში წააგო — 0-1. საინტერესოა, რომ „ლომებმა“ (ასე ეძახიან მიუნხენის მეორე კლუბს) შეხვედრა თავისი მთავარი მწვრთნელის, ვერნერ ლორანტის გარეშე მოიგეს, რომელიც არასპორტული საქციელისათვის რამდენიმე მატჩით არის დისკვალიფიცირებული. „ბაიერნიდან“ მარიო ბასლერის წასვლის ფაქტი საყოველთაოდ არის ცნობილი, თუმცა ჩემპიონი ოდნავაც არ ნანობს. ლოთარ მათეუსმა „ფრაიბურგთან“ შეხვედრაში ამ სეზონში თავისი პირველი გოლი გაიტანა და საერთოდ მისი საბრძოლო მზადყოფნა კვლავინდებურად მეტად მაღალია. იგი თებერვალში ნაკრების პირველ შეკრებაში მიიღებს მონაწილეობას და სწორედ მაშინ, ამხანაგურ მატჩში დაამყარებს ახალ მსოფლიო რეკორდს — 144-ე მატჩს ჩაატარებს ნაკრებში. რაც შეეხება აშშ-ში გადასვლას, იგი 39 წლის ვეტერანმა მარტამდე გადადო, მაგრამ, როგორც ნაკრების მთავარი მწვრთნელი ერიხ რიბეკი აცხადებს, მათეუსი აუცილებლად ითამაშებს ევროპის ჩემპიონატის ფინალში.

„ბაიერნს“ კარგა ხნით გამოაკლდა დიდად გამოცდილი შტრუნცი, ხოლო მცველ კუფურს, რომელიც ფაქტობრივად გერმანული კლუბის აღზრდილია, მიუნხენში გული აღარ უდგება და „ფიორენტინაში“ გადასვლას ცდილობს, რათა თავის საყვარელ მასწავლებელ ტრაპატონისთან ახლოს იყოს. ამდენი დანაკლისის (თუ მოსალოდნელი დანაკარგის) მიუხედავად „ბაიერნის“ სკამი საკმარისად გრძელია და მწვრთნელ ოტმარ ჰიტცფელდს იმედი აქვს, რომ გუნდი მეორე წრეშიც წარმატებით ითამაშებს. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, აქ „რუსენბორგთან“ სტუმრად ფრესა (1-1) და შინ კიევის „დინამოს“ დამარცხების (2-1) შემდეგ „ბაიერნი“ საკმაოდ კარგად გრძნობს თავს.

34 ქულით მეორე ადგილზეა კრისტოფ დაუმის „ბაიერი“ (ლევერკუზენი). შემადგენლობის თვალსაზრისით მისი შედარება ლიდერთან, ცოტა არ იყოს, ძნელია, მაგრამ „ფარმაცევტები“ (რომლებიც ძალიან კარგ გასამრჯელოს იღებენ) მეტად შეუპოვრად და ენერგიულად თამაშობენ. დრო ვერაფერს აკლებს „ბაიერის“ საუკეთესო სნაიპერ ულფ კირსტენს, რომელიც კვლავინდებურად ინარჩუნებს ადგილს გერმანიის ნაკრებში.

31 ქულით მესამეა „ჰამბურგერ შპორტფერაინი“. მისი მწვრთნელი ფრანკ ჰაგელსდორფი თვლის, რომ მის კლუბს პირველი წრის შემდეგ მეორე ადგილი უფრო შეეფერებოდა, მაგრამ სრულიად დაუმსახურებლად დამარცხდა ბრემენში „ვერდერთან“ — 1-2. „ჩვენ მეტოქეებზე გაცილებით უკეთესად ვთამაშობდით. თუ გნებავთ, საბოლოო შედეგი ჩვენს სასარგებლოდ უნდა ყოფილიყო და თანაც 5-2.

საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლის იმედს არ კარგავენ დორტმუნდის „ბორუსია“, „ვერდერი“ (ბრემენი) და შარშანდელი ჩემპიონი „კაიზერსლაუტერნი“. ცნობილია, რომ ოტო რეჰაგელი დიდი სიხარულით შეხვდა მის კლუბში მარიო ბასლერის გადასვლას, ახლა უკვე „სუპერმარიოს“ ჯერია. „ფრაიბურგში“ ქართული ტრიოდან სისტემატურად მხოლოდ ლევან კობიაშვილი თამაშობს, და გერმანელი მიმომხილველების აზრით, საკმაოდ კარგადაც. ამ კლუბში თავი გამოიჩინა ახალმა სნაიპერმა ადელ სელიმიმ. ეს შავკანიანი აფრიკელი თავდამსხმელი უძლიერესადაა მიჩნეული „კაიზერსლაუტერნ“ — „ფრაიბურგის“ XVI ტურის მატჩში, რომელიც სტუმრებმა საკმაოდ მოულოდნელად მოიგეს — 2-0. მეორე ტაიმიდან თამაშში ჩაება ბასლერი, მაგრამ ვერც მან უშველა მასპინძლებს და ვერც სფორცა — ჯორკაეფის ცნობილმა წყვილმა. მიმომხილველთა აზრით, „ფრაიბურგი“ მეტოქესთან შედარებით გაცილებით უფრო ორგანიზებულად თამაშობდა, „კაიზერსლაუტერნი“ კი აშკარად შეშინებული (!) გამოიყურებოდა და უფრო დაცვაზე ფიქრობდა. „ფრაიბურგი“, ისევე, როგორც შარშანდელ ჩემპიონატში იყო, მტკიცე კლუბია, რომელსაც დაბალ ლიგაში დაქვეითება არ ემუქრება. აი, ის კი ნათელი არ არის, რამდენად შეძლებს იგი მეორე წრეში რომელიმე საპრიზო ადგილზე პრეტენზიის განცხადებას. ამას, როგორც იტყვიან, მომავალი გვიჩვენებს.

ყურადღებას იპყრობს პირველი ბუნდესლიგის დებიუტანტ „უნტერჰახინგის“ თამაში. კლუბი მტკიცედ იბრძვის და სატურნირო ცხრილის შუაგულშია. ეს გახლავთ პატარა ქალაქი მიუნხენის სიახლოვეს, გნებავთ, ბავარიის დედაქალაქის გარეუბნადაც კი ჩათვალეთ. მატჩებს, როგორც გერმანული პრესა წერს, ესწრება მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი, მათ შორის ბევრი ქალი, ასე, 10 ათას კაცამდე...

უკვე მეტნაკლებად შეიძლება იმ გუნდებზე ლაპარაკი, რომლებმაც, უპირველეს ყოვლისა, პირველ ბუნდესლიგაში დარჩენაზე უნდა იზრუნონ. ეს არის დებიუტანტი „ულმი“, რომელიც მთელ რიგ მატჩებს ურიგოდ როდი ატარებს, „დუისბურგი“, რომელმაც რამდენიმე მძიმე მარცხი განიცადა, ბილეფილდის „არმინია“ და დიდი ტრადიციების მქონე, მაგრამ ამჟამად აშკარად დასუსტებული „აინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი). თუმცა ჯერ ხომ შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს.

მაშ ასე, ბუნდესლიგაში შესვენებაა 5 თებერვლამდე, როცა XVIII ტურ ში გაიმართება მნიშვნელოვანი შეხვედრა „ჰამბურგერ შპორტფერაინსა“ და „ბაიერნს“ შორის. მანამდე კი ყურადღებას მოთამაშეთა გადაბარგება-გადმობარგება მიიპყრობს.

**გიგი გამრეკელი**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ეს ჭარმაგი „პიოტრ ივანოვიჩი“ და მისი რეკორდები

ლაპარაკი პიეტრო ვერხოვოდის საფეხბურთო კარიერაზე მისი მამის „ისტორიით“ უნდა დავიწყოთ. ფეხბურთელის მამა, ივან ვერხოვოდი, ბედმა შორს გადაისროლა. იგი, ტომით უკრაინელი, წითელი არმიის ჯარისკაცი, ჯერ ფინეთის ფრონტზე იბრძოდა, შემდეგ პოლონეთში, ბოლოს გერმანელებმა მოლდავეთში დაატყვევეს. გერმანიაში იმდენი საბჭოთა ტყვე აღმოჩნდა, რომ მათ ვერავითარი საკონცენტრაციო ბანაკები ვეღარ აუდიოდა. ამიტომ ბევრი მათგანი გერმანელებმა იტალიელებს გადასცეს. ტყვის ხვედრი საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ომი რომ დამთავრდა, ივან ვერხოვიდს სამშობლოში დაბრუნების საშუალება მიეცა. დიახ, დაბრუნდებოდა, მაგრამ შეიძლებოდა ამდენი „მოგზაურობა“ უკვე კოლიმაზე გაგრძელებულიყო, სადაც, ერთი პოპულარული სიმღერისა არ იყოს, „თორმეტი თვე ზამთარია, დანარჩენი კი ზაფხული“. ივან ვერხოვოდმაც კოლიმას ისევ იტალიაში დარჩენა ამჯობინა, რომელ ქალაქსა და სოფელში აღარ იხეტიალა, მაგრამ ბოლოს ბერგამოში დამკვიდრდა. იქ დაქორწინდა იტალიელ ქალზე და შვილების აღზრდას შეუდგა.

პიეტრო (დაიბადა 1959 წლის 6 აპრილს) „მოგზაური“ მამის მესამე შვილია. 16 წლიდან პროფესიონალი ფეხბურთელი, თავიდანვე საყურადღებო პირი იყო იტალიაში. საყურადღებო თუნდაც იმიტომ, რომ მრავალი წლის მანძილზე ერთადერთი „რუსი“ (ასე ეძახდა მას სახელოვანი ენცო ბეარზოტი) გახლდათ იტალიურ ფეხბურთში. „ტიფოზი“ უკვე მრავალი წელია შეეჩვია „ორიუნდებს“ („ორიუნდი“ უცხოეთში, ძირითადად სამხრეთ ამერიკაში დაბადებულ იტალიელს ნიშნავს), მაგრამ ფეხბურთელი ასეთი ეგზოტიკური გვარით თავისთავად იპყრობდა ყურადღებას.

ვერხოვოდი თამაშობდა „რომანეზეში“ (1975-76 წლები), „კომოში“ (1976-81), „ფიორენტინაში“ (1981-82), „რომაში“ (1982-83), გენუის „სამპდორიაში“ (1983-95, „იუვენტუსში“ (1995-96), „პერუჯაში“ (1996-97), „მილანში“ (1996), 1997 წლის ზაფხულიდან კი „პიაჩენცაში“ გამოდის. იგი 1983 და 1991 წლებში იტალიის ჩემპიონი იყო, 1985, 1988, 1989 და 1994 წლებში იტალიის თასს ფლობდა, 1991 და 1995 წლებში — იტალიის სუპერთასს, 1996 წელს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს, 1990 წელს — თასების მფლობელთა თასს. ქვეყნის ნაკრებში ითამაშა 45 მატჩი (გაიტანა 2 გოლი).

რა ღირსებები აქვს ვერხოვოდს? —. ჩინებული ფიზიკური მონაცემები (180 სმ, 76 კგ), იშვიათი შეუპოვრობა, ხისტი თამაში და ამასთან, სრული კორექტულობა. დასაწყისში პიეტრო მარჯვენა მცველი იყო, შემდეგ მარცხნივ გადაინაცვლა. „სამპდორიას“ ცნობილი იუგოსლავიელი მწვრთნელი (ეროვნული ნაკრების ახლანდელი ხელმძღვანელი) ვუიადინ ბოშკოვი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ყველაზე უკეთ ვერხოვოდი მაინც დაცვის ცენტრში ითამაშებდა. მას პიეტრო კლასიკურ სტოპერად მიაჩნდა, რომელსაც სულაც არ სჭირდებოდა ზურგიდან რაიმე დაზღვევა. ახლა რომ ყველა იტალიური კლუბი „ხაზზე თამაშზე“ გადავიდ ა, აღარც ლიბერო ჰყავს და აღარც სტოპერი, ვერხოვოდი სრულიად იოლად შეეგუა ახალ ტაქტიკურ სქემებს.

რა თქმა უნდა, ყველას ძალიან აინტერესებს, როგორ შეინარჩუნა მან ამდენ ხანს ოსტატობის ასეთი დონე.



***ვერხოვოდი (მუქ მაისურში): 40 წლისამ კიდევ შეიძლება „იფრინო“-***

— ვფიქრობ, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების მაგალითად გამოვდგები. ბევრჯერ დამიძლევია დაღლილობა, გავუძელი დიდ, მეტისმეტ ფიზიკურ დატვირთვებს. ბევრი მწვრთნელის, ფიზიკური მომზადების სპეციალისტის ხელმძღვანელობით მიმუშავია, მაგრამ ვერავინ გამამტყუნებს მუყაითობის ნაკლებობაში.

● ***მოთამაშეებს, ზოგჯერ გამტყუნებენ, რომ ვარჯიშის ელემენტარულ მეთოდიკასაც კი არ იცნობთ...***

— ფეხბურთელი ვარ და არა ფიზიკური მომზადების სპეციალისტი, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ ის ვარჯიშები შევასრულო, რომელიც ყველაზე უფრო შემეფერება. ფეთქებადი ყაიდის მოთამაშე ვარ, ამიტომ ჩემთვის შეუფერებელია მარათონული სირბილი. თითოეულმა ფეხბურთელმა თვითონ უნდა გაუწიოს კონტროლი საკუთარ თავს. ვარჯიშის შემდეგ ზოგჯერ ვრჩები მინდორზე, რათა დამატებით წავიმუშაო. მით უმეტეს, მაშინ, როცა ვატყობ, რომ რაღაცა მაკლია.

40 წლის პიეტრო ვერხოვოდი, რომელსაც ახლა „პიაჩენცაში“ ლუიჯი სიმონი წვრთნის, სრულიად ახალგაზრდულად გამოიყურება. „პიაჩენცა“ — „რომას“ მატჩის შემდეგ ერთ-ერთი მიმომხილველი წერდა: „ჩემპიონატის „პაპა“, თუმცა ეს სახელი ნაკლებად შეეფერება მის ახლანდელ მზადყოფნას, არაჩვეულებრივად ცოცხლად და სხარტად მოქმედებს. მან მთლიანად გამორთო დიდი იმედის მომცემი ფეხბურთელი თამაშიდან მონტელა“.

რამდენ ხანს ითამაშებს ვერხოვოდი, ვინ იცის. ყოველ შემთხვევაში იგი სულაც არ აპირებს „პენსიაზე გასვლას“.

ახლა ვერხოვოდი აშკარა „საფრთხეს უქმნის“ რამდენიმე იტალიურ საფეხბურთო რეკორდს. დღემდე „სერია A“-ში ყველაზე მეტი მატჩი დინო ძოფს აქვს ჩატარებული — 570. პიეტრო ვერხოვოდი ამ ჩემპიონატის დაწყებამდე მონაწილეობდა 540 შეხვედრაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვერხოვოდმა, რომელიც ფაქტობრივად შეუცვლელად თამაშობს, შეიძლება ამ სეზონშივე გადაასწროს ძოფს, თუ არადა, 2000-2001 წლების სეზონი ხომ წინაა. საინტერესოა, რომ იტალიური ფეხბურთის ლეგენდამ, განთქმულმა თავდამსხმელმა სილვიო პიოლამ „სერია A“-ში 565 მატჩი ითამაშა, ე.ი. ვერხოვოდმა ჯერ პიოლას უნდა გადაასწროს... პიეტრო კიდევ სხვა მხრივაც „ემუქრება“ ძოფს. დინომ თავისი უკანასკნელი მატჩი „სერია A“-ში 1983 წლის 15 მაისს ჩაატარა, როცა იგი 41 წლისა, 2 თვისა და 15 დღის იყო. ვერხოვოდს შეუძლია უფრო მეტი ხნისამ განაგრძოს თამაში. კიდევ ერთი საინტერესო შესაძლებლობა: ყველაზე ხნიერი მოთამაშე, რომელმაც იტალიის ჩემპიონატში გოლი გაიტანა, იგივე სილვიო პიოლა იყო. ეს მოხდა 1954 წლის დასაწყისში, პიოლა 40 წლისა და 4 თვისა იყო. თუკი ვერხოვოდი წელს, გნებავთ გაისად, გოლს გაიტანს, იგი პიოლას ამ რეკორდსაც მოხსნის. ისე კი, იცოცხლეთ, თუმცა მცველია, ყოველთვის იცოდა გოლის გატანა. „სერია A“-ში გატარებულ 20 სეზონში იგი 38 ბურთის ავტორი გახდა.

ასეთია ჭარმაგი „პიოტრ ივანოვიჩი“, ვეტერანი უკრაინელი, იტალიური პასპორტით, ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული მოთამაშე საერთაშორისო ფეხბურთში.

**გიგი თორელი**

# პირველი ჩოგანი და მისი კონკურენტები



მარტინა ჰინგისი გამარჯვებას ზეიმობს...

1999 წლის სეზონი მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისისათვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ერთის მხრივ, მან გაიმარჯვა ავსტრალიის ღია ჩემპიონატსა და კიდევ 6 დიდ საერთაშორისო ტურნირში, მეორე მხრივ დამარცხდა „როლან გაროსის“, აშშ ღია ჩემპიონატისა და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩებში. ერთი სიტყვით, 19 წლის ჰინგისმა კარგიც ბევრი ნახა და ცუდიც.

● *მიუხედავად პირველი ადგილისა, რომელიც წლის შედეგებით დაიკავეთ, ეს სეზონი თქვენთვის არ იყო ისე იოლი. რა გასწავლათ ამ რთულმა სეზონმა?*

– ბევრი მძიმე მომენტი მქონდა. ყველაზე მეტი უსიამოვნება მაინც საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ფინალურმა მატჩმა მომიტანა. ისე დარწმუნებული ვიყავი გამარჯვებაში, რომ წაგება უმძიმესი დარტყმა აღმოჩნდა. მეორე მხრივ, ამ დამარცხებამ ბევრ რამეზე დამაფიქრა. ბოლოს და ბოლოს, მივხვდი, რატომ წავაგე და, ამდენად, ამ მატჩმა სარგებლობა მომიტანა. როგორც ამბობენ, შეცდომებზე სწავლობენ. ისე რომ, 1999 წლის სეზონში საკმაოდ ინტენსიურად ვსწავლობდი.

● *როგორც ადამიანი, ძლიერ გამოიცვალეთ?*

– რა თქმა უნდა, შევიცვალე, თუმცა არ ვიცი, რამდენად... უფრო მომთმენი გავხდი, აღარ ვაკეთებ ისეთ რამეებს, რასაც წინათ არ ვერიდებოდი. უკვე შემიძლია ჩემი ემოციების მოთოკვა.

● *მათ შორის, ვინც თქვენს გარშემოა, დედას, გასაგებია, განსაკუთრებული ადგილი უკავია. როცა რთულ მდგომარეობაში ხართ, ითვალისწინებთ თუ არა მის რჩევებს? რას გეუბნებათ ხოლმე დედა?*

– ყველაზე რთულ მომენტშიც კი, თვით ვიღებდი გადაწყვეტილებას. დედაჩემი რჩევებით არასოდეს მაბეზრებდა თავს, არასოდეს მიმითითებდა, რა უნდა გამეკეთებინა, თუმცა პატიოსნად გეტყვით, ეს ზოგჯერ არ მაწყენდა კიდეც. და მაინც მისი მადლიერი ვარ, რომ იმის გაკეთების უფლებას მაძლევს, რასაც საჭიროდ ვთვლი.

● *რახან დედამ სრული თავისუფლება მოგცათ, მაშ როგორღა აფასებთ თქვენი ახლანდელი ცხოვრების წესს? თქვენ ბევრს ერთობით, თქვენს მეგობარ ვაჟთან დადიხართ სხვადასხვა მოდებასა და საღამოზე, გატაცებული ხართ ცხენოსნობით.*

– მიმანიშნებთ, რომ ამან შეიძლება ჩემს კარიერაზე დამღუპველად იმოქმედოს? ჩემს ახალგაზრდობას ხომ მთლიანად სპორტს არ შევწირავ. ნორმალური ადამიანი ვარ, არ მინდა, რომ მხოლოდ ჩოგნით, ბადით და ჩემი პარტნიორებით შემოვიფარგლო. ჩოგბურთი ჩემი პროფესიაა, ეს კარგად მახსოვს, მაგრამ ნურც იმას დაივიწყებთ, რომ დასვენებაც საჭიროა.

● *როგორ ფიქრობთ, თამაშის რომელი კომპონენტები უნდა გაიუმჯობესოთ?*

– ქალთა ჩოგბურთი სულ უფრო ათლეტური ხდება. ამიტომ ვაპირებ მეტი დრო დავუთმო ფიზიკურ მომზადებას, რათა წარმატებით დავუპირისპირდე ტანმაღალ და მძლავრ მეტოქეებს. არა, კუნთების გაზრდით დიდი გატაცება საჭირო არ არის. ბოლოს და ბოლოს, საკმაოდ სწრაფი ვარ, შემიძლია თამაშის მრავალფეროვნად წარმართვა. სწორედ ამ თვისებებით ვაღწევდი წარმატებებს.

● *როცა ტანმაღალ და ფიზიკურად მძლავრ მეტოქეებს ახსენებთ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გყავთ ლინდსეი დევენპორტი და დები უილიამსები. ვინ არის მაინც უფრო ძლიერი: სერენა და ვენუს უილიამსები, თუ მარტინა ჰინგისი?*

– თუ სერენა და ვენუს უილიამსს ერთად ავიღებთ, რა თქმა უნდა, მათზე გაცილებით უფრო სუსტი ვარ (იცინის). თუ სერიოზულად ვიტყვი, ისინი ნამდვილად ძალიან ძლიერები არიან, სერენამ აშშ-ს ღია ჩემპიონატის ფინალში დამამარცხა. ხშირად ვიხსენებ ამ მატჩს და რევანშზე ვფიქრობ. დების მიღწევები აშკარაა და დამატებით კომენტარს არ საჭიროებს.

● *ისე ლაპარაკობთ, თითქოს დების გეშინიათ...*

– სრულებითაც არა! საკმაო საფუძველი მაქვს, რომ ვირწმუნო საკუთარი ძალა.

● *რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?*

– შედეგები, კიდევ ერთხელ სპორტული შედეგები! ხუთი გამარჯვება „დიდი მუზარადის“ ტურნირებში, ეს, მერწმუნეთ, ხუმრობა არ არის! ნუ დაგავიწყდებათ, რომ რაც არ უნდა იყოს, მსოფლიოს პირველი ჩოგანი ვარ!

● *რა იქნება თქვენთვის საჭირო, რომ 2000 წელიც მსოფლიო რეიტინგის მწვერვალზე დაასრულოთ?*

– ერთი რამ: ამ მიზნის მისაღწევად მთელი ძალების მობილიზება. თუკი ეს საკმარისი იქნება, ხომ კარგი, თუ არადა... ყოველ შემთხვევაში, ჩემი „ტახტიდან“ ჩამოგდების ყველა პრეტენდენტს მეტად სერიოზული მუშაობა მოელის.

● *ჩოგბურთის ოლიმპზე ძალზე ცოტა ვინმე ადის. რას განიცდის ქალიშვილი, რომელიც მსოფლიოს პირველი ჩოგანის საამაყო წოდებას ატარებს?*

– ეს ჯადოსნური ზღაპარივითაა! მისი მოპოვების შესაძლებლობა ცოტა ვინმეს თუ აქვს, მიზანს კი მართლაც ერთეულები აღწევენ. ერთი იმათგანი ვარ, და ამიტომაც თავს ნამდვილად ბედნიერად ვგრძნობ.

## სამარანჩი კორუფციაზე ატეხილმა ხმაურმა დაღალა

უმადურება ყველგან უმადურებაა. სამარანჩსაც მწარე სიბერე დაუდგა. ლამის 20 წელიწადია მუხლჩაუხრელად იღვწის მსოფლიოს ოლიმპიური მოძრაობის ავტორიტეტის გამტკიცებისთვის და მიაღწია კიდეც, რაც უპირველესად იმაში გამოიხატება, რომ მსოფლიოში სოკი ფინანსურად ერთ-ერთ უმძლავრეს ორგანიზაციად იქცა. მაგრამ რად გინდა, სადაც დიდი ფულია, იქ ცდუნებაც დიდია და ამ უაღრესად ჰუმანური ორგანიზაციის მაღალჩინოსნებიც ჩაეფლნენ კორუფციის ჭაობში. ბოლო 2 წელიწადია სოკის ღირსეულ პრეზიდენტს სიცოცხლე გაუმწარეს ბრალდებებით. არადა, კორუფციის არაერთი ფაქტი დადასტურდა, სოკის რამდენიმე დიდმოხელე გადადგა ან გადააყენეს. ყოველივე ამან, ეტყობა, სტიმული მისცა ჩასაფრებულ ძალებს და სოკის მხცოვანი მესაჭის გადადგომას არცთუ შეფარვით მოითხოვენ. „თუ სესიაზე 89 წევრიდან თუნდაც 20-25 მაინც დამიპირისპირდება, ჩემს შემდგომ მუშაობას პრეზიდენტის პოსტზე აზრი აღარ ექნება“ – აცხადებს სამარანჩი. ახლახან გამართული სესიის წინ სესიამ კი კენჭი უყარა განეხილათ თუ არა ეს საკითხი საერთოდ. სოკის წევრებმა ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ორგანიზაცია, კვლავაც ნდობას უცხადებს თავის ლიდერს. სამაგიეროდ, სესიამ დიდი ბჭობის შემდეგ მოსთხოვა სამარანჩს ნუ არიდებს თავს ამერიკის კონგრესში გამოცხადებას და ჩვენების მიცემას. რაც სოკის პრეზიდენტმა შეასრულა კიდეც. თუ რა მწვავედ ჩაიარა კონგრესში ამ მიწვევამ, „ლელო“ უკვე იტყობინებოდა.



ტოტო ლოტო
შედეგები
50-ე ტირაჟი: 18-19.12.99

**ლოტო 6-42**

4 6 7 10 17 18

გათამაშებაში მონაწილეობდა 12808 ვარიანტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 რიცხვი | 0 | 48 560,80 ლ. | გადადის 51-ე ტირაჟზე |
| 5 რიცხვი | 1 | 234,50 ლ. | |
| 4 რიცხვი | 19 | 16,40 ლ. | |
| 3 რიცხვი | 434 | 1,20 ლ. | |

**სუპერ 7**

5 8 1 9 8 3 5

| | | | |
|---|---|---|---|
| 5819835 | 50000 ლარი | 9835 | 500 ლარი |
| 819835 | 15000 ლარი | 835 | 50 ლარი |
| 19835 | 5000 ლარი | 35 | 3 ლარი |
| | | 5 | 50 თეთრი |

**მომენტალური ლატარიების** „გოლი 98-ის“, „ოლიმპის“ და „ლოტო 6-42“-დან მოუგებელი ბილეთების გათამაშებისას, დახურვის ლონისძიებაში (26 დეკემბერი) მონაწილეობის უფლება და ლატარიის ბილეთების კომპლექტები წილად ხვდათ: ლატარია „ოლიმპში“ ნათია ლომიძეს, თამაზ ნასყიდაშვილს (ბორჯომი), ლატარია „გოლი 98“-ში მამუკა ხაჩირაშვილს (კახეთი), ნიკა ლეჟავას (თბილისი). „ლოტო 6-42“-დან გათამაშდა 49-ე ტირაჟის მოუგებელი ბილეთები - 13001-93679; 15015-75178.

## „ტოტო-ფეხბურთი 11“-ის ჯეკ-პოტი 3863 ლარი გათამაშდა!

**„ტოტო-ფეხბურთი“ 12 მატჩი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ინგ. | არსენალი - უიმბლდონი | X | 1 - 1 |
| 2. | ინგ. | ლივერპული - ქოვენთრი | 1 | 2 - 0 |
| 3. | ინგ. | ვესტ ჰემი - მანჩესტერი | 2 | 2 - 4 |
| 4. | იტ. | მილანი - რეჯინა | X | 2 - 2 |
| 5. | იტ. | ბარი - ინტერი | 1 | 2 - 1 |
| 6. | იტ. | პარმა - რომა | 1 | 2 - 0 |
| 7. | გერ. | ჰამბურგი - დიუსბურგი | 1 | 6 - 1 |
| 8. | გერ. | დორტმუნდი - ჰერტა | 1 | 4 - 0 |
| 9. | გერ. | მიუნხენ 1860 - კაიზერი | 1 | 2 - 1 |
| 10. | ეს. | ბარსელონა - ატლეტიკო | 1 | 2 - 1 |
| 11. | ეს. | რეალი - ესპანიოლი | 1 | 2 - 1 |
| 12. | ეს. | ბეტისი - მალიორკა | 1 | 1 - 0 |

გათამაშებაში მონაწილეობდა 12359 ვარიანტი

12 შედეგი 0 × 11669.90 გადადის შემდეგ ტირაჟში
11 შედეგი 3 × 278.30
10 შედეგი 54 × 15.40

**„ტოტო-ფეხბურთი“ 11 მატჩი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | ინგ. | ასტონ ვილა - შეფილდი | 1 | 2 - 1 |
| 2. | ინგ. | მიდლსბრო - ტოტენჰემი | 1 | 2 - 1 |
| 3. | იტ. | ლაციო - პიაჩენცა | 1 | 2 - 0 |
| 4. | იტ. | პერუჯა - ბოლონია | 1 | 3 - 2 |
| 5. | გერ. | ფრაიბურგი - ვოლფსბურგი | 0 | 1 - 1 |
| 6. | გერ. | ლევერკუზენი - უნტერჰახინგი | 1 | 2 - 1 |
| 7. | ეს. | ვალენსია - რაიო ვალეკანო | 1 | 3 - 1 |
| 8. | ეს. | დეპორტივო - სელტა | 1 | 1 - 0 |
| 9. | საფ. | ნანსი - სენტ ეტიენი | 1 | 1 - 0 |
| 10. | ჰოლ. | გრააფსხაპი - აიაქსი | 0 | 1 - 1 |
| 11. | შოტ. | მაზერველი - რეინჯერსი | 2 | 1 - 5 |

გათამაშებაში მონაწილეობდა 6172 ვარიანტი

11 შედეგი 1 × 3863.70
10 შედეგი 25 × 16.70
9 შედეგი 151 × 1.70

ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატებში საშობაო-საახალწლო არდადეგების გამო „ტოტო ფეხბურთის“ შემდეგი ტირაჟი ჩატარდება 2000 წლის 8-9 იანვარს.

## საუკუნის რჩეულნი

ამერიკის საინფორმაციო სააგენტოს ასოშიეტედ პრესის სპორტულმა მიმომხილველებმა გერმანელი შტეფი გრაფი და ავსტრალიელი როდ ლეივერი საუკუნის საუკეთესო ჩოგბურთელებად დაასახელეს.

წილისყრის შედეგად ქალთა პირველ ათეულში სპორტსმენები ასე განლაგდნენ.

2. მარტინა ნავრატილოვა (აშშ), 3. მარგარეტ სმით-კორტი (ავსტრალია), 4. ბილ-ჯინ კინგი (აშშ), 5. კრის ევერტი (აშშ), 6. სიუზან ლენგლენი (საფრანგეთი), 7. ელენ უილზი (აშშ), 8. მურინ კონოლი (აშშ), 9. მონიკა სელეში (აშშ).

მეათე ადგილი გაიყვეს ავსტრალიელმა ივონ გულაგონგმა და შვეიცარიელმა მარტინა ჰინგისმა.

ვაჟთა ათეული კი ასე გამოიყურება... 2. პიტ სამპრასი, 3. ბილ ტილდენი (ორივე – აშშ), 4. ბიორნ ბორგი (შვეცია), 5. დონ ბაჯი (აშშ), 6-7. ლი ჰოუდი (ავსტრალია) და ჯონ მაკინროი (აშშ), 8-9. რეი ემერსონი (ავსტრალია) და კენ როუზუოლი (ავსტრალია), 10. ჯეკ კრემერი (აშშ).

სხვათა შორის, შტეფი გრაფი აღიარებულია გერმანიის ყველაზე გამოჩენილ ქალ სპორტსმენად, ვაჟთა შორის – მოკრივე მაქს შმელინგი.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**21 დეკემბერი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** საფეხბურთო მიმოხილვა (12.50), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (9.15, 18.45), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის (13.15), გერმანიის (17.00), ესპანეთის (19.45), ინგლისის (21.15), ბრაზილიის (22.35) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ჩემპიონთა ლიგის „სამახსოვრო მატჩები“: იუვენტუსი – მანჩესტერ იუნაიტედი (15.00, 0.20), „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები“ (16.45). ***ESPN.*** უეფა. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (13.30), ინგლისის პრემიერლიგა: ნიუკასლი – ბრედფორდი (18.00). ჰოლანდიიდან: ფეიენოორდი – უტრეხტი (23.00). ***EUROSPORT.*** სპორტის ზამთრის სახეობები. მსოფლიო თასი. სამთო თხილამურები (13.00, 15.30, 16.00), ბიატლონი (16.45), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები (18.00). კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (1.00), სუმო. სუმოს დიდი საერთაშორისო ტურნირი, იაპონიიდან (2.00), ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა (3.00).

**22. დეკემბერი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** რაგბის მოყვარულთათვის (20.05). ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (9.15, 18.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის, (13.15, 23.55), ბრაზილიის (17.15), იტალიის (19.15). ჩემპიონატები და მიმოხილვა. უეფა. სამახსოვრო მატჩები: ბავარია – მანჩესტერ იუნაიტედი (20.15). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (5.00, 8.00, 9.30, 17.30). ესპანეთის საფეხბურთო ლიგა (21.00). ***EUROSPORT.*** სპორტის ზამთრის სახეობები. მსოფლიო თასი: თხილამურები, ტრამპლინი (14.00), ბიატლონი (15.00). ჩრდილოეთის კომბინაცია (17.00). ფეხბურთი: ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები (18.00). ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი (19.00). სუმო: სუმოს დიდი ტურნირი იაპონიიდან (2.00). მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი, ესპანეთიდან (3.00).

**23 დეკემბერი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** ბურთი და მოედანი (9.15, 18.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის (13.15, 21.25), იტალიის (15.00), ჰოლანდიის (19.40) ჩემპიონატები და მიმოხილვა. „სამახსოვრო მატჩები“-99. მსოფლიოს ჩემპიონატი, ქალები: გერმანია – ბრაზილია (15.50, 0.00). ***ESPN.*** ფეხბურთი პორტუგალიიდან (4.00), ჰოლანდიიდან (7.00), ესპანეთიდან (18.00). ფიგურული სრიალი. პროფესიონალები (14.00, 1.00). ***EUROSPORT.*** სპორტის ზამთრის სახეობები. მსოფლიო თასი: თხილამურები, ტრამპლინი (14.00), ბიატლონი (15.00), ტრიატლონი (17.00). კანოე (სლალომი). მსოფლიო თასი (20.00). უეფა. ჩემპიონთა ლიგა, მიმოხილვა (23.30), სუმო. სუმოს დიდი ტურნირი, იაპონიიდან (2.00).

იუმორი




## შერეული კროსვორდი

**თარაზულად:** 5. ქართველი ო/ჩ ფარიკაობაში, 6. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 8. მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქვეყანა, 11. მთიანეთი აღმოსავლეთ ციმბირში, 14. მობილური ტელეფონების ფირმა, 15. მ/ჩ მოჭადრაკე ვაჟი, 16. მოჭადრაკე – ინდოელი დიდოსტატი, 17. ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი – მცველი, 21. საქართველოს რეგიონი, 22. გფრ-ის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ფეხბურთში, 23. „ჩელსის“ იტალიელი მწვრთნელი, 26. სპორტში წინასწარ მოფიქრებული გეგმა, 27. ზეპირი ან ბეჭდვითი პროპაგანდა, 28. წარსულში ცნობილი ქართველი ფალავანი;

**შვეულად:** 1. კოლუმბიის ნაკრების ფეხბურთელი, 2. ილეთი ფარიკაობაში, 3. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 4. აგვისტოს ძველი შესატყვისი, 7. „პარმას“ არგენტინელი ლეგიონერი, 9. არგენტინის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, მ/ჩ, 10. „ოქროს გოლის“ ავტორი ქართულ ფეხბურთში, 12. ორადგილიანი ველოსიპედი, 13. ფეხბურთში 1958 წ. მ/ჩ მასპინძელი ქვეყანა, 18. ადგილების განაწილების სისტემა, 19. ესპანელი ჩოგბურთელი ქალის სახელი, 20. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 24. ძალოსნობის პროგრამა, 25. იტალიის ნაკრების ფეხბურთელი – თავდამსხმელი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 2. სელტა, 3. გენკი, 6. მილანი, 7. ამერიკა, 9. ბრედა, 11. აიაქსი, 13. ლეჩე, 15. პორტუ, 16. როდა, 21. ბაიერნი, 22. სიონი, 23. იუვენტუსი, 24. სპორტინგი, 25. სოსიედადი.

**შვეულად:** 1. ინტერი, 3. გვადალახარა, 4. ბეშიქთაში, 5. ლივერპული, 8. კიოლნი, 10. რეალი, 12. ბრონდბიუ, 14. ბეტისი, 17. მეცი, 18. ფირუზი, 19. უნიონი, 20. ლიერსი.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ლb6! 1. ...მფ:c6 2. მc5X.
2. ...მფe7 2. კc5X.
1. ...მფe5 2. კc7X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.